# სახალხო გაზეთი

№ 1089 კვირა, 12 იანვარი 1914 წ. № 1089

**განცხადების ფასი**: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტ ი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ სადამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა"-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის ოვდანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი"-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. სადამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად ძოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა ჲ კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი" 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ. ცალკე № ყველგან 5 კ, დამატებიანი—7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა


მიიღება ხელის მოწერა 1914 წ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერ.

## სახალხო გაზეთი

ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა 1914 წელსაც 1 გაზეთს ექნება

## სურათებიანი დამატება

(კვირაობით).

პრემიად 1914 წლის ხელის მომწერთ მიეცემათ **სამი წიგნი**:

**პირველი წიგნი**: „ქართველი მწერლები", რომელშიაც დაბეჭდილი იქნება: 1) „უგვირგვინო მეფენი", ისტორ. დრამა 5-მოქ. სანდ. შანშიაშვილისა. 2) „მიმქრალი შარავანდედი", ისტორ. რომანი ვ. ბარნოვისა და სხვ.

**მეორე წიგნი**: „უცხოეთის მწერლები", რომელშიაც დაიბეჭდება: „დონ-კარლოსი", ტრაგედია შილლერისა, თარგმანი გერმანულით **სანდრო შანშიაშვილისა** და სხვა ნაწარმოებნი უცხოეთის მწერლებისა.

**მესამე წიგნი**: „სამეცნიერო კრებული", ორიგინალური და ნათარგმნი წერილები.

გაზეთის ფასი წელიწადში **8 მ. და 50 კ.** ცალკე № შაურად. დამატებიანი 7 კაპ.

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 12 თ. | 11 თ. | 10 თ. | 9 თ. | 8 თ. | 7 თ. | 6 თ. | 5 თ. | 4 თ. | 3 თ. | 2 თ. | 1 თ. |
| 8. 50 | 8. | 7. 50 | 6. 75 | 6 | 5. 25 | 4. 50 | 3. 75 | 3 | 2. 25 | 1. 50 | 75. |

საზღვარ-გარედ თვეში ზედ-მეტი 50 კაპ.

ადრესის გამოცვლის ფასი ტფილისისა ტფილისის გარედ, ან ტფილისის გარეთისა ისევ ტფილისის გარეთისაზე **40 კ.**

**დანარჩენ შემთხვევებში უფასოა.**

**სამი აბაზი** უნდა გადაიხადოს კიდევ იმ ხელის მომწერმა, რომელსაც ჰსურს მიიღოს ფოსტით სამი საპრემიო წიგნი. ვინც რედაქციის კანტორაში მიიღებს პრემიას, იმას ეს ფული არ გადახდება.

წლიურ ხელის მომწერთ გაზეთის ფასი 8 მ. 50 კაპ. შეუძლიათ გადაიხადონ **ნაწილობით**

**მხოლოდ** შემდეგ ვადებზე უნდა იყოს გადახდილი: ხელის-მოწერისათანავე 3 მ., 1 აპრილამდე 2 მ., 1 თიბათვემდე 2 მ. და დანარჩენი 1 მ. 50 კ. 1 ენკენისთვემდე.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს 1914 წლის გასულისა.

**ხელის მოწერა მიიღება**: 1) „სახალხო გაზეთის" კანტორაში, სასახლის ქუჩ., სარაჯიშვილის სახლი, შესავალი ეზოდან.

2) ქ. შ. წ. კ. გამ. გ. ც. გამგეობის წიგნის მაღაზიაში.

ფოსტით: Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети". П. Ящ. 190.

---

კვირას, 12 იანვარს, 12 საათზე დიდუბის ეკლესიის სასაფლაოზე გადახდილი იქნება პანაშვიდი და ძეგლის კურთხევა

## გიორგი ექვთიმეს ძე წერეთლისა

(14 წლის თავზე)

რასაც აუწყებს ნაცნობებს და პატივის მცემლებს მეუღლე მისი ანასტასია მიხეილის ასული წერეთლისა და შვილები: ელენე, ლევანი და ირაკლი წერეთლები.

---

1914 წ. მიიღება ხელის მოწერა საყმაწვილო სურათებიან ჟურნალ

წლიწ. მეათე. **„ნაკადული"** წლიწ. მეათე.

(1914 წ. 1-ლი იანვრიდან 1915 წ. 1-ლ იანვრამდე).

ტფილისი, გოლოვინის პროსპექტი, № 8, შემოსასვლელი დავითის ქუჩიდან № 2.

ჟურნალი გამოვა იმავე პროგრამით, როგორც აქამდის გამოდიოდა:

მცირე წლოვანთათვის **24** წიგნი, მოზრდილთათვის **12** წიგნი.

36 სურათი, წიგნის პირველ გვერდზე მოთავსებული. ჟურნალშიაც მოთხრობები და სამეცნიერო წერილები დასურათებულია.

**საჩუქრად ორივე გამოცემის წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემა წიგნი:**

„გიჩის ძმა და ცეცხლის მფრქვეველი მთები",

(მრავალი სურათებით), **გიორგი ანთელავისა**.

**ჟურნალს ხელმძღვანელობას უწევს საგანგებოდ არჩეული კომისია.**

ფასი ჟურნალისა: ორივე გამოცემა წლიურად—5 მ., ნახევარი წლით—3 მ., საზღვარ-გარედ—7 მ., ნახევარი წლით—4 მან., მცირე წლოვანთათვის ცალკე 3 მ., მოზრდილთათვის—3 მ. ხელის მოწერა მიიღება წლიურად და ნახევარი წლით. **ხელის-მოწერა შეიძლება:**

**ტფილისში**: „ნაკადულის" რედაქციაში, ზუბალაშვილის სახლი, გოლოვინის პროსპექტი, № 8, Редакція „Накадули", Головинскій просп. № 8, და წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. მაღაზიაში, სასახლის ქუჩა **ქუთაისში**—ისიდორე კვიცარიძესთან, მ. ყაუხჩიშვილთან და თ. მთავრიშვილთან, **სამტრედიაში**—ვლ. ნაცვლიშვილთან, **ფოთში**—თეოფილე კანდელაკთან, **ბათომში**—კნ. სოფიო ნაკაშიძესთან, ტროფიმ ინასარიძესთან და ანასტასია ლომინაძესთან. **ოზურგეთში** და **ლანჩხუთში**—ლეო იმნაძესთან, **თელავში**—ვანო პაატაშვილთან, **ახალციხეში**—კონსტანტინე გვარამაძესთან, **ბაქოში**—ვასო აბველდიანთან, ნინო გელაშვილთან და ივანე ელიაშვილთან, **გორში**—ნინო ლომაურთან და ქეთევან ჯავახიშვილთან, **ხონში**—კნ. მარიამ აბაშიძესთან, **ჭიათურაში**—ივანე გომელაურთან, **განჯაში**—ბ. ამბოკაძესთან, **ერევანში**—კ. ოდიშარიასთან, **ყარსში**—ივ. საათაშვილთან, **ალექსანდროპოლში**—ს. შალბერაშვილთან, **როსტოვში**—ნ. კლიმიაშვილთან, **ხონში**—მ. ი. ჭავჭანიძესთან.

ვთხოვთ ხელის მომწერლებს, ადრესი **გარჩევით** დასწერონ, თუ ჟურნალი არ მისდით, ერთი თვის განმავლობაში გვაცნობონ და დროზე შეგვატყობინონ ბინის გამოცვლა.

1631 რედაქტორი ნ. ნაკაშიძე. გამომც. თ-დ პ. თუმანიშვილი.

---

— გამოსულია და იყიდება —

## ნ. შიუკაშვილის

პიესა **„მეგობრობა"**, დრამა 4 მოქმედებ. ფასი 30 კაპ.

---

## ქართული თეატრი

ნინოობას, ამა იანვრის 14-ს

**ტფილ. ქართველ ქალთა საზოგადოება**

გამართავს

სალიტერატურო-სამუსიკო-სამხატვრო

## საღამოს

I.

**ლექციები**—კ. აბაშიძისა, ივ. გომართელისა და შ. მესხიშვილისა.

II.

**საკონცერტო განყოფილება**: ხორო ფილარმონიულ საზოგადოებისა და სიმებიანი ორკესტრი ახალი კლუბისა.

III.

**ცოცხალი სურათები**—ქართველი ქალის წარსულის და ახალის ცხოვრებიდან, მ. კორელის და ვ. შალიკაშვილის ხელმძღვანელობით.

**დასასრულ ცეკვა.** ბილეთები იყიდება. დასაწყისი საღამოს 8 ს. 1019

---

**ტელეფ. № 795.** ქართული თეატრი წარმოდგ. № 56.

კვირას, 12 იანვარს, 1914 წ. ქართ. დრამატ. საზ. დასის მიერ **ნ. ჩხეიძის** მონაწილეობით წარმ. იქნება მეორედ ქართულ სცენაზე:

## დამარცხებული რომი,

ტრაგედია 5 მოქმ. ალ. პაროდისა, თარგ. შალიკაშვილისა.

მონაწ. მიიღებენ ქ-ნნი: თორიძე, მდივანი, ქიქოძე, კოდალაშვილი, შოთაძე, ჩხეიძე. ბ-ნნი: არადელი-იშხნელი, ბარველი, გომელაური, გუნია, ზარდალიშვილი, იმედაშვილი, მესხი, სირაძე, ურუშაძე, ციციშვილი, შალიკაშვილი, ხონელი.

**დასაწყ. სწორედ სად. 8 ს.** ✦ ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

რეჟისორი **ვ. შალიკაშვილი.**

შემდეგი ბენეფისი ალ. იმედაშვილისა. წარმოდგენილი იქნება: „უგვირგვინო მეფენი". (გიორგი სააკაძის ცხოვრებიდან).

1006 ადმინისტრაცია ქართ. დრამატ. საზოგ. გამგეობისა

---

გორის პირველი კერძო

## სამკურნალო

**ქირურგიულ და ტერაპევტიულ (შინაგანი სნეულებათა)**

**განყოფილებებით.**

კუთხე სობოროსა და სემინარიის ქუჩისა, სახლი ზანგურიძისა.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 20 საწოლით.

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ დროს.

**გარედან მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები:**

**კობერიძე მ. ს.** ქირურგიული, სამშობიარო და დედათა სნეულებანი ყოველ დღე 8—12 ს.-მდე.

**წინამძღვარიშვილი მ. დ.** შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი, ყოველ დღე დილ. 9—12 ს.-დე.

**მესხიშვილი ს. ს.** ქირურგ. სნეულებანი, ყოველ დღე 12—1 ს.-დე.

**ბრიუკნერი მ. გ.** თვალისა და ვენერიული (ათაშანგის) ავადმყოფ. ყოველ დღე 12—1 ს.-დე.

**გინზბურგი ა. ლ.** კბილისა სნეულებანი ყოველ დღე 2—9 ს.-დე.

**რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ., ცალკე ოთახი 4 მ.**

ოპერაციები, კონსილიუმი, ელექტრონით წამლობა, მასაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება, შეხვევა და სხვა შეღავათიანი ფასით.

სამკურნალოს ამ ცოტა ხანში ექნება მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორიას. გასინჯვა: სისხლისა, შარდისა, ნახველისა, კუჭის წვენისა და სხვა, აგრეთვე ათაშანგის Wasserman-ი. **წამლობა „606", „914".** 1604

---

## ტფილისის კერძო სამკურნალო

ვერცხლის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლოს.

**ტელეფონი № 590.**

**სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილებით.**

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი **ექიმები-სპეციალისტები:**

| | |
|---|---|
| შინაგანი სნეულებ. | **მანსვეტაშვილი მ. მ.** ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს.<br>**მალალაშვილი გ. გ.** სამშაბ. და შაბათობით 10—12.<br>**მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1. ს.<br>**ფედოროვი ე. გ.** ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 12—1. |
| ქირურგ. სნეულებანი. | **მარქოზიჩი მ. ლ.** კონსულტატი ყოველ დღე 11½—12½.<br>**მელიქიშვილი ნ. ა.** ყოველ დღე 10—1.<br>**ფირალოვი რ. ბ.** ყოველ დღე 12—1. |
| ქალთა და სამშობ. სნეულებანი. | ექიმი-ქალი **მერბიცკი-ფირალოვისა ლ.** ყოველ დღე 11—12.<br>**თიკანაძე ი. ე.** ყოველ დღე 1—2.<br>**მელიქიშვილი ნ. მ.** ყოველ დღე 10—1. |
| ბავშვთა სნეულებ. | **მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1.<br>**ფედოროვი გ. ს.** ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა 12—1. |
| ნერვიულ. სნეულებ. და ელექ. | **ჯავახიშვილი ნ. ნ.** სამშაბ., ხუთშაბ. და შაბათ. 12—1.<br>**ფონდოვი გ ს.** ყოველ დღე 1—2. |
| ყელ. ყურის და ცხვირ. | **ათენიანცი ნ. ა.** ყოველ დღე 12½—1½. |
| თვალის სნეულ. | **მუსხელიშვილი გ. ს.** ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—2½. |
| კან. და ვენერ. ავ. | **დიასამიძე ა. ნ.** ყოველ დღე 11½—12½. |

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. **Wasserman.** რჩევისათვის 50 კ. საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მ.-დან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. დაწყებული. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია, „606" და „914" წამლის შეშხაპუნება, ელექტრონით წამლ., მასაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა. შეღავათიანი საფასურით. 1436

---

## ბაქოს ქართველ ქალთა წრის მიერ

ბაქოს ქართულ სკოლის შენობაში,

(ბირჟის ქ., საკუთარი სახლი),

ამა 1914 წლ. 1 იანვრიდან, მთავრობის ნებართვით, **გაიხსნა**

● **პროფესიონალური** ●

## ჭრა-კერვისა და ხელსაქმის სკოლა,

სადაც მიიღებენ ქართველ ქალებს არა ნაკლებ თორმეტი წლისას. სწავლის ფასი წელიწადში 12 მან. თხოვნების მიღება და ყოველგვარი ცნობის გაგება შეიძლება იქვე: დილის 9 ს.-დან ნაშუადღ. ორ ს.-მდე და ბალახანაში—ნავთის მრეწველთა საავადმყოფოს **ექიმ ლორთქიფანიძის ბინაზე.** 13

---

## დღეიდან ვაგზლის სამკურნალოში

(**აფთიაქის გვერდზე, ვაგზლის ქუჩა, № 8. ტელეფონი 695**)

მიიღებენ ავადმყოფებს 11 საათიდან 3 საათამდე.

**ნათიშვილი**—ვენერიული და კანის ავადმყოფ. 11—11½ ს.

**მინასოვი**—ქირურგი, 11—12 საათამდე.

**პაპოვი**—ყურისა, ცხვირისა და ყელის ავადმყოფობანი. 11—11½ საათამდე.

**ციციშვილი**—შინაგანი და ნერვების 11—12 საათამდე.

**ექ. ქალი იოსელიანი**—ქალური ავადმყოფობანი, კვირაობით, სამშაბათობით და ხუთშაბათობით 11—11½ ს.

**საჩხერო ექ. კლდიაშვილი**—შინაგანი სნეულებ. 1—2 ს.

**მაშაკიძე**—შინაგანი სნეულებანი, საღამოს 6—7 საათამდე.

**წამლობა „914" აპარატით.**

1023

---

## „ახალი კლუბის" მამასახლისთა საბჭო

**აცხადებს** კლუბის წევრთა და მუდმივ მოსიარულეთა საყურადღებოდ, რომ **უკანასკნელ ვადად 1914 წლისათვის** საწევრო ბილეთების **განახლებისა დანიშნულია ამა წლის 20 დეკემბერი**. ვინც თავის დროზე საწევრო ბილეთებს არ განაახლებს, ჰკარგავს კლუბში უფასოდ შესვლის უფლებას 1914 წლის 1 იანვრიდან.

საწევრო ფულების გადახდა და ბილეთების განახლება შეიძლება კლუბის კანტორაში ყოველ-დღე დილის 11 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე და საღამოს 9 საათიდან ღამის 12 საათამდე. 1585

---

## ხეხილების გასხვლა

## ს. ს. ხეთაგურის სანერგე

მსურველთ **აწვდის გამოცდილ მებაღეებს ხეხილის გასასხვლელად.** ცნობების მისაღებად მიმართვა შეიძლება წერილობით: ტფილისი, ს. ს. ხეთაგურის სანერგე.

Тифлисъ, питомники С. С. Хетагури. 1560

---

## „პალას ოტელ"-ის გახსნა.

**დღეს**, 12 **იანვარს**, გოლოვინის პროსპექტზე, მ. ო. არამიანცის სახლში, სახაზინო და საარტისტო საზოგადოების თეატრების შუა,

**გაიხსნა საუცხოვოდ მოწყობილი**

სასტუმრო „პალას ოტელი" სასტუმრო.

**სასტუმროში იშოვება:**

ორთქლის სითბო, ცხელი წყალი, ყველა ნომერში ჰაერის საწმენდი, ლიფტები მგზავრსა და ბარგისათვის, ღია და დახურული ტერასები გოლოვინის პროსპექტზე და მთელ ქალაქზე საუცხოო გადასახედით.

სასტუმროში მოწყობილია ორ-სართულიანი **რესტორანი** და ცალკე სალონ-კაბინეტები. საერთოდ მოწყობილება და ხელ-შემწყო პირობები შეფარდებულია საზოგადოების უმწვერვალეს გემოვნებასთან. **რესტორანში დაუკრავს რუმინიის პირველ-ხარისხოვანი ორკესტრი ბ. თნუფიესკოს ლოტბ.** **სადილი** ნაშუადღევის 1½ ს.-დან საღამოს 5½ ს.-მდე, ვახშამი ღამის 10 ს.-დან 2 ს.-დე. სამზარეულოთი და ბუფეტით სარგებლობა სტუმრებს შეუძლიათ დილის 11 ს.-დან ღამის 2 ს.-დე.

**საჭმელები ევროპიული და ადგილობრივი.** 17

---

საზღვარ-გარეთის კიმონო

## რ. ა. პორტუგალოვისა

იუწყება, რომ კუკიის (ნიკოლოზის) ხიდზე (№ 23—24) არსებულმა

**საქარხნო მაღაზიამ**

მიიღო დიდ-ძალი **შეკერილი ტანისამოსი** მამაკაცების, ქალებისა და ბავშვებისათვის. მიღებულია აგრეთვე მამაკაცთა კოსტიუმები, ქალებისათვის ქვედატანი და ხალათები ცალ-ცალკე.

**ახლად მიღებულია.** ძალიან იაფად, საქარხნო ფასებზე 30 პროცენტის დაკლებით, იყიდება სეზონიდან დარჩენილი საქონელი. იმედი გვაქვს, საქარხნო მაღაზიაში მყიდველნი კმაყოფილნი დაგვრჩებიან.

აქვე მიიღება ყოველგვარი შეკვეთა.

1632 პატივისცემით **რ. ა. პორტუგალოვისა.**

კიმონო

# ა ხ ა ლ ი კ ლ უ ბ ი

**სამშაბ., 14 იანვარს**, წმ. ნინოობა დღეს, „ახალ კლუბის“ წევრთა და მუდმივ მოსიარულეთა ბავშვებისათვის გამართულ იქნება

# საბავშვო დილა

შემდეგის პროგრამით: 1) სინემატოგრაფი ივანიცკისა, 2) საზღვარ-გარეთული ატრაქციონი: გასტროლი სცვანგები გიმნასტი მეზღვაურებისა („Trio o морѣ“) და 3) დაუკრავს „ახალ კლუბის“ ორკესტრი.

შესასვლელი ფასი თეატრში 20 კ., სტუმართა ბავშვები დამატებით იხდიან კლუბში შესასვლელს 20 კ. ✦ დასაწყისი დილით 12 საათზე. 1007

**ელექტრონის, რენტგენის სინათლის**

# ს ა მ კ უ რ ნ ა ლ ო

**საწოლი ოთახებით**

# მიხეილ გედევანიშვილისა

ნევრებით ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე, კვირის გარდა, დილის 12—2 საათ., საღამოთი 6—8 საათ. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20, ტელეფ. 791. 1468

**ბერლინის უნივერსიტეტის დოქტორი მედიცინისა**

# გ. მეჯრაბიანცი

დაბრუნდა უცხოეთიდან და განაახლა შინაგან სნეულებით ავადმყოფთა მიღება. სნეულებანი ფილტვებისა—**ჭლექი**—და გულისა. შეთანაბრებული სპეციფიური **ტუბერკულინური წამლობა**. ხელოვნური პნევმოტარაქსი. **რენტგენის ელვასხივური სხივებით ფილტვებისა და გულის გაშუქება.**

ყოველ დღე, 9—1 საათ. და საღამოს 5—7 საათ. კვირაობით 9—12 საათ.

9—10 სათ. **საწყლებს უფასოდ.**

ზუბალოვის ქ. სახ. 23. ტელეფონი 7—92. 1516

# საბურთალოზე

**მშვენიერ ალაგას**

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიათ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს**, დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი**, თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. ჟ. 122

# სამკურნალო

**სპეციალისტ-სამხედრო ექიმებისა**

გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქ. დიდ ქ.-ზე, № 3, ალექსანდ. ბაღ. მახლობლად ტელეფონი № 481.

ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათიდან საღამოს 5 ს.-დე.

**აბულადზიანი.** შინაგანი სნეულ. ბავშვებისა, ყოვ.-დღე 2—3 ს.

**ბელანჟე.** ბავშვ. შინაგ., ავადმ., ყ.-დღ., 10—11½ ს.

**ბოგუსლავსკი.** ბავშვ. შინაგ. ავადმ., ორშაბ., ოთხშაბ., და პარასკ. 4—5 ს.

**ერმოლაევი**—შინაგანი ბავშვებ. ყ.-დღე 1—2 ს.

**ვორობიევი**—ბავშვ. შინაგანი სნეულებისა. სამშაბ., ხუთშაბ., შაბ. და კვირ. 4—5 ს.

**შამაში**, სადოსტაქრო; ყ.-დღ., 1—3 ს.

**გრიგორიანი.** ხირურგ. ავადმყ. ყოველ დღე 11 ნახ.—11 ნახ. საათ.

**ასპისოვი**—ყურ., ყელ. და ცხვირ. ავად. ყ.-დღე 1—3 ს.

**რუდენკო.** შინაგანი ავადმყ. ხუთშ. და კვირ. 3—4 ს.

**ატენიანცი.** ყელისა, ცხვირ., ყურ. და შინაგანი, 2—3 ს.

**ი. ბ. ჩუდნოვსკი.** ძარღვ., სულ., ავადმ., ელექტრო-ტერაპია, ყოვ.-დღე გარდა კვირისა, 11½—12½ საათ.

**თეთრაძე.** სიფ., ვენერიული და კანის სნეულ. ყოვ.-დღე 1—3 ს.

**მხიტარიანი.** ვენერიულ, კანისა და საშარდე სნეულ. ყოვ.-დღე 4—5 საათ.

**ნოვიცკი.** ბებია-ქალი, ყოვ.-დღე 1—2 ს.

**კალამკაროვი.** ბებია, ქალური სნეულ. ყ.-დღ. 12—1 საათ.

**ექ. ქალ. ითხელიანი.** ქალური სნეულ ორშ. ოთხშ., პარასკ., და კვირ. 11—12 ს.

**გეინაცი**—თვალისა ორშ., ოთხშ., და პარასკ. 4—5 ს.

**ხოდნევი**—თვალ. ექ. სამშ, ხუთშ., შაბ., და კვ., 4—5 ს.

**ბაგდოევი**—კბილ. ყ.-დღე 3—5 ს.

**სათვალეების არჩევა.**

კონსულტაცია, ოპერაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ჰიპნოზი, ანალიზი, ძიებისდა მოსამსახურეთა გასინჯვა. „Wasserm an“-ის რეაქციით სიფილისიან სისხლის გამოკვლევა. 1070.

# ექიმ ლ. ლ. გოცირიძის სამკურნალო

# ქალ. ბაქოში

## მუდმივ საწოლებით:

**სულით-ავადმყოფებისა, ავზნიანებისა და ლოთებისათვის.**

**ფასი მორიგებით.**

ადრესი: Баку, магазинная, № 50. 1608

# გამსესხებელი კასა

# „ამხანაგობა“

პუშკინის ქ. სახლი ბერუჩევისა № 4 (რაბინოვიჩისეული) იძლევა სესხს ყოველგვარ ნივთებისა და ღირებულების გირაოთი. აგრეთვე კისრულობს სხვა ქალაქების გირაოთა გაგზავნ-გამოგზავნას. 8

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე**

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 სათ. კვირ. ავად. არ იღებს. მოსკოვის ქ., № 8, სახ. გაბაშვილისა.

**ექიმი პ. ლ. კიკალიშვილი**

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5½ საათიდან 7 საათამდე. კახეთის ქუჩა № 2, ტელეფონი 15—27. 1502

**ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი**

**ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში.**

იღებს ნერვებით ავადმყოფებს საღ. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12. **იქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი.** 737.

**ექიმი კბილისა პ. მ. მუმულია-ქუხალაიშვილი**

გადავიდა ქსენიევის ქუჩაზე № 7, სადაც ტფილისის კერძო სამკურნალოა მიხაილოვის პროსპექტისა და სასტუმრო ვეტცელის ახლო. იღებს დილით 9—2 საათ. საღ. 4—7 ს-მდე. 872

**ექიმი გ. მუსხელიშვილი**

მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—11½ საათამდე. დიდი მთავრის ქუჩა № 67.

**ექიმი პავლე არდაზიანი**

შინაგანი და ბავშვების სნეულობა. ავადმყოფებს მიიღებს დღის 12—2 ს. საღამოს 5—7 ს. ალექსანდრეს ქუჩა, № 3. 1022

**ექიმი შ. ა. მიქელაძე**

15 ივნისიდან მიიღებს **შინაგან და ბავშვთა** სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ. საათიდან 7 საათამდე ახალ ბინაზე—მიხაილოვის პროსპექტი № 117. ტელეფონი 816.

**ექიმი ი. ი. ბერიშვილი**

სწამლობს **საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის ავადმყ.**: **ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. ელისაბედის ქ., № 94, კიროჩნი ქუჩის ახლო, საფოსტო განყოფ. პირდაპირ. 102

**ე ქ ი მ ი**

# ი. ზ. გძელიშვილი

იღებს თვალისა, შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, წამლობა აგრეთვე ტუბერკულინებით.

19 თებერვლის ქ. (რიყის ქ.), № 17, ტრამვაის გასაჩერებელთან, მისიონერთა ახალ ეკლესიის გასწვრივ. მიღება ავადმყოფების შეიძლება დილის 11 ს.—2 ს. და საღამოთი 5—7 ს. 916

**ქ. გ ო რ შ ი**

**ექიმი** (დ ო ქ ტ ო რ ა ნ ტ ი). **მ. დ. წინამძღვრიშვილი**

ყოფილი ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა და სამედიცინო ინსტიტუტის შინაგან სნეულებათა კლინიკებისა.

შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. ავადმყოფობანი გულისა, ფილტვისა და სისხლის სპეციალურად. იღებს დილის 9—12 საათამ. გორის სამკურნალოში, დანარჩენ დროს სახლში. სამეფო ქუჩა ქალების გიმნაზიის პირდაპირ. 1571

**ექიმი** კბილისა **ნინო რცხილაძე.**

**გადავიდა** მოსკოვის ქუჩა № 9.

იღებს დილით 9—2 ს., საღ. 5—7 ს.


# წყალს მიცემული საქართველო

2.

როგორც უკვე გვქონდა აღნიშნული, ქართველი ხალხი სრულიად მოუმზადებელი შეხვდა ცხოვრების ახალ პირობებს. თავად-აზნაურობა შრომას იყო გადაჩვეული და მხოლოდ იმაზე ზრუნავდა, რაც შეიძლება მეტი გამოეწურა მამულიდან. გლეხ-კაცობა კი ისე იყო წელში გატეხილი, რომ დამოუკიდებლად ვერ შესძლო, კარზე მომდგარ უბედურებას გამკლავებოდა. ამისთანა პირობებით ისარგებლეს იმათ, ვინც არსებობისთვის ბრძოლაში უკედ იყო შეიარაღებული და მიზნად საქართველოს სოციალურსა და ტერიტორიალურ დეზორგანიზაციას ისახავდა. მაშინ დაიწყო გადმოსახლების პოლიტიკა, რომელიც ამ ბოლო ხანებში, ნაციონალისტურ სათათბიროს ლოცვა-კურთხევით, უფრო გაძლიერდა და სისტემატიური ხასიათი მიიღო. ამ რამდენისამე ხნის წინად მთავრობის გაზეთი „როსსია“ დიდის კმაყოფილებით აღნიშნავდა, რომ გადმოსახლების საქმე კავკასიაში ძალიან კარგად მიდისო. მაგრამ, რადგანაც სახაზინო მიწები შესაძლოა ყველგან გამოსადეგი არ გამხდარიყო ამ მიზნისთვის, ტფილისში დაარსდა საგლეხო ბანკი, რომელიც თანდათან ადიდებს სახაზინო მიწის ფონდს და ხელს უწყობს ქართველთა კერძო მამულების გადასვლას გადმოსახლებულების ხელში. ამუშავებულია რთული სახელმწიფოებრივი მექანიზმი, რომლის მიზან-შეწონილ მუშაობას ბევრი ვერა ჰხედავს, მაგრამ რომლის შედეგსაც კარგად იწვნევენ ხოლმე ისინი, ვის წინააღმდეგაც არის მიმართული ამ მექანიზმის მუშაობა.

გარდა ამ სახელმწიფოებრივი მექანიზმისა, ბევრი სხვა ელემენტიც მუშაობს ჩვენში. მოვიგონოთ, თუნდაც, სომხის ბურჟუაზია. იმ დროს, როდესაც ჩვენი თავად-აზნაურობა ქეიფობდა, სამკვიდრებელს დაშორებული სომხობა მუშაობდა ნელ-ნელა ძლიერდებოდა ჩვენს საკუთარ მიწა-წყალზე. ტფილისი, რომლის ტერიტორიის უმეტესი წილიც ჯერ ისევ ამ ნახევარი საუკუნის წინ ქართველების ხელში იყო, ნელ-ნელა სომხების ხელში გადავიდა. დღეს ქართველობა ტფილისში, საქართველოს დედა-ქალაქში, სადაც ამ ნახევარი საუკუნის წინ ჯერ ისევ ქართველური სული ტრიალებდა, ისეთს უმცირესობას შეადგენს, რომ სტუმრებადღა თუ მოვიხსენიებით. სომხობა თანდათან იზრდებოდა, ქალაქებიდან პროვინციაში გადადიოდა და ნელ-ნელა, მაგრამ სისტემატიურად გვაცლიდა ხელიდან ტერიტორიას. იგი უფრო უკეთესად იყო აღჭურვილი იმ იარაღით, რომელიც თანამედროვე ბურჟუაზიულ ხანას შეეფერება. მაგრამ ყველა ეს იმდენად საშიში არ იყო, რადგანაც ქალაქებიდან პროვინციაში გადასული სომხობა თითქმის შედუღებული იყო ქართველობასთან და არც შეიძლებოდა რაიმე აგრესიული აზრების მატარებელი ყოფილიყო. დღეს გარემოება არსებითად შეიცვალა. ჩვენს ტერიტორიას თავისი ხარბი თვალი გადაავლო სომხების კაპიტალმა. ეს კი გაცილებით უარესია. კაპიტალმა დანდობა არ იცის. იგი მუსრს ავლებს ყველაფერს, რაც კი გარშემო შეჰხვდება და დაუნდობლად ანხორციელებს თავის დანიშნულებას. ადრე თუ გვიან სომხური კაპიტალიც გაეშურება ჩვენი სოფლისკენ, და მაშინ უფრო უარეს დღეების მოწმენი გავხდებით. არამიანცი ბორჩალოს მაზრაში ბარათაშვილის მამულს დაეპატრონა, მანთაშევი გორის მაზრისკენ იწევს. არავითარი საბუთი არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ საქმე ამაზე გაჩერდება და ერთხელ ფეხ მოკიდებული სომხის კაპიტალი თანდათან მთელს საქართველოში არ გაიდგამს ფესვებს.

ამ გარემოებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს, რადგანაც კაპიტალი დაუნდობელი და ამასთანავე ერთად აგრესიული მიზნების მატარებელი იქნება. ასეთია დღეს ჩვენი მდგომარეობა. ერთის მხრით ბრძოლის საუკეთესო საშუალებებით შეიარაღებული მეზობლები და მეორის მხრით ეკონომიურად დასუსტებული ქართველი გლეხობა და გაყიდვის ციებ-ცხელებით დაავადმყოფებული თავად-აზნაურობა,—აი დღევანდელი ჩვენი სურათი.

უწინდელ დროში მაშინაც კი, როდესაც საქართველო სხვა რომელიმე სახელმწიფოს მონობაში ვარდებოდა, მდგომარეობა ასეთი სახიფათო არა ყოფილა. ახალი წესები სოციალურ სტრუქტურას არსებითად ვერა სცვლიდა.

რაც უნდა დიდი ვნება მოეტანა უცხო ელემენტის პოლიტიკურ ბატონობას, საქართველო პოლიტიკურად განთავისუფლებისთანავე, თავის სიმწვავეს ჰკარგავდა. იგი კვლავ გამობრუნდებოდა და აღორძინდებოდა ხოლმე. სულ სხვაა ეხლა, როდესაც მიწა, ტერიტორია, სყიდვა-გაყიდვის ობიექტად გადაიქცა. ერთხელ დაკარგულ მიწას, ტერიტორიას ვეღარავითარ საშუალებით უკან ვეღარ დავიბრუნებთ. გაცილებით უფრო ძნელი გაჰხდება მისი დაბრუნება იმ შემთხვევაში, თუ იგი ისეთს ელემენტს ჩაუვარდა ხელში, რომლის სასიცოცხლო ინტერესი მოითხოვს ტერიტორიის ქონას. ჩვენ კი სწორედ ასეთი ელემენტი გვახვევია გარშემო. იგი თანდათან ძლიერდება და ნელ-ნელა იჭერს იმ პოზიციებს, რომლებიც აქამდის ჩვენ გვეჭირა. დიდი ჭკუა არ უნდა იმის გაგებას, რომ ასეთი მდგომარეობის გაგრძელება სრულს ეროვნულს გაკოტრებას გვიქადის.

სად არის ხსნა? ერთად ერთი ხსნა იმაშია, რომ მამული რაც შეიძლება მალე იმის ხელში გადავიდეს, ვისაც უკეთესად შეუძლიან მისი მოვლა. ასეთი ელემენტი კი გლეხ-კაცობაა. ოღონდ კი გლეხ-კაცს მამული ხელში ჩაუვარდეს და მერე ვეღარავითარის მანქანებით ვერ წაართმევთ. იგი მშვენივრად შეინახავს მიწას და უზრუნველჰყოფს კიდეც ჩვენი ტერიტორიის მთლიანობას. ორი რამ სჭირია ჩვენ გლეხ-კაცობას ამ საქმეში: ფული და ცოდნა. თუ ჩვენში ვისმეს გული შესტკივა ამ საქმისათვის, უპირველესად ყოვლისა, უნდა შექმნას ისეთი პირობები, რომ გლეხკაცს გაუადვილდეს მიწის ყიდვა. ტყუილია, თითქოს გლეხი უარს აცხადებდეს მიწის ყიდვაზე. მისთვის მიწა იმდენად საჭიროა, რომ არასოდეს ყიდვაზე უარს არ იტყვის, თუ, რა თქმა უნდა, წელი შესწევს.

მაგრამ, საუბედუროდ, სწორედ ეს დახმარების ხელი არსაიდანა სჩანს. პირ-იქით, ჩვენსავე წრეში ჩნდებიან ისეთები, რომლებიც აგენტის როლს ასრულებენ და ცდილობენ იმ ცეცხლზე, რომელიც დღეს საქართველოს უკიდია, ხელი მოითბონ. ჩვენში რომ კარგად ჰქონდეთ გათვალისწინებული, რა საშვილიშვილო დანაშაულსა სჩადიან ასეთი პირები, იქნება ჩვენს საზოგადოებაში მათ ადგილი არც კი ჰქონოდათ. მაგრამ ჩვენს საზოგადოებას დაეკარგა კრიტერიუმი ავისა და კარგის განსაზღვრისა. კეთილი და ბოროტი, ქვეყნის დამღუპველი და ამშენებელი,—ყველა რაღაც უცნაურის ხაოსის მსგავსად არეულა ერთმანეთში და ვეღარავის გაურჩევია, სად იწყება პირველი და სად—მეორე.

გიჟურ, თავდავიწყებულ ცხოვრების ქარტეხილში დავიწყებულია საქართველო, მისი ინტერესები. ბაზარზე გამოტანილ ჩვენს ქვეყანას ეპატრონება ყველა, ვისაც კი ეს მოეპრიანება, და ამ დროს, ჩვენდა სანუგეშებლად, ვხედავთ მხოლოდ ერის ტრაგიზმით სავსე სურათს: იქ, სოფელში, დაქცეულ კერას და აქ, მეჯლისზე, დეკოლტესა და სმოკინგს... **არ. ჯ—შვილი.**

# ქართული პრესა

ჩვენი ქვეყნის ზოგიერთი მაზრის სოფლები ძალიან შეწუხებულნი არიან ყაჩაღობით, მძარცველების და ავაზაკების თავგასულობას საზღვარი არა აქვს და უმწეო ხალხს ვერავითარი საშუალება ვერ გამოუნახავს მათ ასალაგმავად.

ამ საკითხს ვრცელს წერილებს უძღვნიან ქუთათური გაზეთები. „ერი“ სწერს:

„მდიდარი, ბურჟუა, უნდა გაძარცვო, რადგან მას უსამართლოდ აქვს მითვისებული მუშათა შრომის ნაყოფიო, ამბობს ზოგიერთი შეუგნებელი.

მაგრამ ამგვარი უცნაური „სოფლმხედველობა, როგორც ვსთქვით, ძირს გამოუთხრის ჩვენს ეკონომიურ კეთილდღეობას. ღარიბს, გამდიდრების იმედი თუ მოუსპე, სასოწარკვეთილებაში ჩავარდება. პირადი ეკონომიური ინტერესები—ის ღერძია, რომელიც ამხნევებს, ამოქმედებს კაცს. და უიმედო ადამიანთაგან შემდგარი ერი ყოველგვარ ენერგიას მოკლებული იქნება.

თუ კი ყველა დარწმუნებული იქნება, რომ, როგორც კი გამდიდრდება, მაშინვე სიცოცხლეს გამოასალმებენ, ვისღა ექნება გული და ხალისი ენერგიული მუშაობისათვის ეკონომიურ ასპარეზზე?! ამიტომ, ვიდრე მთლად არ შეიცვლება ეკონომიური წესწყობილება, ე. ი. ვიდრე ეკონომიური ურთიერთობა კერძო საკუთრების საფუძველზეა დამყარებული, კერძო პიროვნების სიცოცხლე და ქონება უზრუნველყოფილი უნდა იყოს. უამისოდ, შეუძლებელია საზოგადოების ზნეობრივი, გონებრივი და ეკონომიური წარმატება.

და ისეც მრავალი მხრით შევიწროებულს ქართველ ერს მთლად ბოლო მოეღება, თუ საზოგადოებამ ყური არ ათხოვა ამ სენს.

უმთავრესი საშუალება კი, ჩემის ფიქრით, ზნეობრივი ზედმოქმედებაა. ხალხმა საჯაროდ, მოურიდებლად უნდა დაჰგმოს და გაჰკიცხოს თავისი შემარცხვენელი, მავნებელი წევრნი. და ხალხის ხმას უთუოდ დაემორჩილებიან ხალხის შვილნი“.

***

გაზეთი „სიმართლის ხმა“ ასეთს რჩევას აძლევს სოფლებს:

„უპირველესად საჭიროა ხალხმა გაიგოს, რომ აქ პარტიები არაფერ შუაშია; პირიქით, პარტია შანტაჟისტების ბნელ საქმიანობას გადაჭრით ებრძვის. მაშინ შანტაჟისტობას ნიადაგი გამოეცლება, ხალხის თანაგრძნობა მოაკლდება, რითაც საუბედუროდ აქა-იქ დღესაც სარგებლობს, სავსებით განმარტოვდება და მისი დამარცხება გაადვილდება.

აქ საჭიროა მოწინავე კუთხების მაგალითს მივბაძოთ.

ამ ორი-სამი წლის წინედ ასეთივე აუტანელი იყო გურიის მდგომარეობა. რა გზას უნდა დაჰდგომოდენ? მთავრობა სუსტი გამოდგა და შანტაჟისტების წინააღმდეგ ბრძოლა თვით ხალხმა იკისრა. ერთი-მეორეს დაუკავშირდენ, ყველა საზოგადოებაში გამომძიებელი კომისიები მოაწყვეს, შანტაჟისტების ყოველივე ძალმომრეობას სიმართლე მოჰფინეს და ისინი ალაგმეს...

და აი დღეს გურია მათგან თავისუფალია.

აი ეს გზა, რომელიც უნდა აირჩიონ შორაპნელმა გლეხებმა და დ. ყვირილის მოქალაქეებმა, სადაც შანტაჟისტები დაბუდებულან, და ამ საშინელ მტერს საერთო ძალღონით გაუმკლავდნენ. აი, ერთ-ერთი საშუალება, რომელიც ხალხს ამ საშიშარი სენისაგან დაიხსნის და კულტურული განვითარებისაკენ გზას გაუკაფავს“.

# ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

პოლიტეხნიკუმის შესახებ გაზ. „ზაკავკაზსკაია რეჩი“ შემდეგ ცნობებს ჰბეჭდავს:

„თანდათან ირკვევა ის ბურუსი, რომელშიაც გაახვიეს ყველანი ბ.ბ. სოლოლაკელებმა პოლიტეხნიკუმის საკითხის გადაწყვეტის დროს.

თანდათან ცხადი ჰხდება, რომ სოლოლაკელების საფინანსო მოსაზრებანი ყალბი იყო და ძლიერ გაბერილი...

8 იანვარს მომხდარ კრებაზე ქალაქის გამგეობაში ა. არღუტინსკი-დოლგორუკოვის თავმჯდომარეობით, რამდენიმე გუწრფელი განმარტება და განცხადება იყო, რომელსაც, ალბად, უფრო სერიოზული განმარტებანიც მოჰყვება.

ის მიწები, რომელზედაც ამდენ იმედებს ამყარებდნენ, უმეტეს ნაწილად კორდები და ოღრო-ჩოღრო ადგილებია. ამიტომ 150 დესეტინიდან ნახევარზე მეტი ვერ გაიყიდება.

მაშასადამე, როდესაც ქუჩებისა და მოედნებისათვის საჭირო მიწებს გამოვაკლებთ, სწორი ადგილი შეიძლება გაიყიდოს არა უმეტეს 60—70 დესეტინისა. ეს გარემოება კი არსებითად სცვლის ქალაქის ვარაუდს.

ასეთი განცხადება ქალაქის გამგეობის სამიწისმზომელო განყოფილებამ მეორედ გამოამჟღავნა. მაგრამ ეხლაც, ბ.ბ. სოლოლაკელებმა უკუაგდეს მათთვის „უსარგებლო“ და არა სასიამოვნო გეგმა და მიწის-მზომელ განყოფილებას წინადადება მისცეს ხელახლად მესამედ გადაათვალიეროს გეგმა და ახლად დაანაწილოს მიწები. გამოირკვა აგრეთვე, რომ ეს მიწები პოლიტეხნიკუმიდან დაშორებული იქნება 3—2 ვერსით და, მაშასადამე, აწეულ ფასებში მათ არავინ იყიდის.

ამის გამო, გადასწყდა, რომ ამ ნაწილის მოსაწესრიგებლად უნდა დაიხარჯოს 100,000 მან. ქალაქის ფული და გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, მოეწყოს საცდელი გაყიდვა უახლოვეს ნაჭრებისა.

ასეთსავე მდგომარეობაშია გზების საქმეც. ბ.ბ. სოლოლაკელებმა დაიწუნეს კახეთის გზატკეცილი და გადასწყვიტეს პოლიტეხნიკუმის შენობისკენ ახალი გზა გაიყვანონ, რაც, რასაკვირველია, ქალაქს იაფად არ დაუჯდება.

და ყველა ეს კეთდება ნაჩქარევად, რათა უეჭველად ჩაჰყარონ ბალავერი; იქნება კი აქ თვით-პოლიტეხნიკუმი, ეს მათ ნაკლებად აინტერესებთ“.

# სახელმწიფო საბჭო

(დეპ. პეტერბ. სააგენტო).

**10 იანვრის სხდომა.**

**აკიმოვი** თავმჯდომარეობს. საზოგადოებისა და სათათბიროს წევრთ ლოჟები გავსებულია. მინისტრ ლოჟაში სხედან მინისტრთა საბჭ თავმჯდომარე, საზღვაო და გარე საქმეთა მინისტრები.

საბჭო შეუდგა მაგარ სასმელებ ვაჭრობის დებულებათა შეცვლ კანონ-პროექტის განხილვას.

ვიდრე საერთო კამათი დაიწყებ და, თავმჯდომარემ თხოვნით მიჰმ თა წევრებს ლაპარაკის დროს კითხს არსებითად შეეხონ, არ ილ პარაკონ მაგარ სასმელების ბორ ტებასა და ვნებაზე, რადგანაც ყ ლასთვის ეს უტყუარი ჭეშმარიტ ბაა. ამით მაინც შევამოკლოთ კა თი, დაათავა თავმჯდომარემ.

კომისიის მომხსენებელმა **ზინოვ ევმა** აღნიშნა: არსებობს მხოლო ორი გზა, რათა მივაღწიოთ სათა ბიროს მიერ დასახულ მიზანს ლოთობა შევამციროთ: პირველი ყოველგვარი შეზღუდვა, მაგარ სა მელების ხმარებისა, მეორე—შეთ ხმებითი ღონისძიებანი მაგარ ს მელებით ბოროტმოქმედების წინ აღმდეგ. სათათბირო უფრო პირვე გზას ადგა, საბჭოს კომისიას უფრ მეორე გზა მიაჩნია მიზანშეწონ ლად. ალკოგოლის მავნებლობა მეცნიერებაში ჯერ კიდევ დავა საკანონმდებლო დაწესებულებას შეუძლიან ამ დავაში ან ერთის მხ რე დაიჭიროს, ან მეორესი. კომ სიის მუშაობის სუსტ მხარედ ბევ იმას აღნიშნავს, რომ კანონ-პროე ტში მრავალი შესწორებანი არ შეტანილიო; მაგრამ სიმრავლე მ ჩვენებითია: შესწორებანი რი ცხვით მრავალია, მაგრამ არსებით კი ახალი არაფერი შეაქვთ. ისმ აგრეთვე ის საყვედურიც, რომ კ მისიამ სათათბიროს კანონ-პროექ დაამახინჯა, შესცვალა ლოთობა თან სათათბიროს ბრძოლის სის მაო. არც ეს არის მართალი: ორი პროექტის სისტემა ერთგვარია. სა ბჭოს კომისია სათათბიროს ფარგლებ არ გასცილებია, მაგრამ შეიტანა მა ში ცვლილებანი და დამატებანი, არ დაამახინჯა, უფრო განავითარ დახარჯა ბევრი დრო და მეცადინეო ბა, უარჰყო ის, რაც არსებითი ა იყო და რასაც შეეძლო სახელმწ ფოს ეკონომიური კეთილდღეობი დარღვევა. ამ კანონ-პროექტის გან ხილვის დროს ორი დებულება ჭეშ მარიტებად უნდა მივიღოთ: ლოთო ბა რუსეთის კეთილდღეობას ემუ რება, მასთან საბრძოლველი ღონი ძიებანი კი საკმარისი არ არის. მა რამ ამასთანავე არ უნდა დაგვავი ყდეს კიდევ ორი ჭეშმარიტება: სა ბრძოლველი ღონისძიებანი მაშინ ი ნებიან ნაყოფიერი, როდესაც ბრძო ლაში მონაწილეობას მიიღებს მცხო ვრებთა მთელი შეგნებიერი ნაწილ და მეორე, ლოთობის მოსპობას ჩვე არ უნდა შევწიროთ ქვეყნის ძირი თადი უფლებრივი და ეკონომიურ ინტერესები.

სხდომა ცოტა ხანს შესწყდა; სხდო მის განახლებისას ლაპარაკი დაიწყ **გრ. ვიტტემ.** მაგარ სასმელების მო ნოპოლია ლოთობასთან საბრძოლ ველად შემოიღეს. ოთხმოცდა-ათიან წლებში რუსეთი ჰგმინავდა საშინ ლად ლოთობისაგან გამხრწნელ გავ ლენის გამო. მოწვეული იყო სხვ სხვა კომისიები. მათ შორის დიდ კომისია, რომელსაც „ლოთობის კო მისია“ დაერქვა. კომისიები სხვა დ სხვა ღონისძიებას ასახელებდნენ, მაგ რამ ყველა ეს საშუალება უძლური იყო, პალიატიური. ამის გამო გა დასწყდა ერის ცხოვრების სას ტიკი იარაღი კერძო პირების ხე ლიდან სახელმწიფოს ხელში გადა სულიყო. მონოპოლია 1893 წლიდან იკიდებდა ფეხს, 1903 წელს იგი თი თქმის ყველგან არსებობდა. ამ დრო სვე მოლაპარაკემ მიატოვა ფინანსთა მინისტრის თანამდებობა. ეკონომიუ რის მხრივ რეფორმამ კეთილი ნა ყოფი გამოიღო, მაგრამ რა მიზანიც ჰქონდა დასახული, სახელდობრ, სა ერო უბედურების შემცირება, ამ მხრივ რეფორმის შედეგი სამწუხა როა. პირველ ხანებში ადგილობრი ვი მთავრობა იტყობინებოდა, რომ მონოპოლიამ შეამცირა ლოთობაო, მაგრამ მღელვარების ხანში სურათი შეიცვალა: რეფორმის მიზანი დაი ვიწყეს და მონოპოლიის საშუალე ბით ხალხის ჯიბიდან ფულის ამო კრეფა გაიხადეს მიზნად. ამის მიზე ზად გრ. ვიტე ასახელებს იმას, რომ მონოპოლიასთან ერთად გამოიცა ლოთობასთან საბრძოლველი სამი კანონი: ხალხის სიფხიზლის კომიტე

ტების, სასმელთა ვაჭრობის დებულებათა დარღვევის დასჯისა და ლოთობის დამსჯელი კანონი. სამივე კანონი მხოლოდ საცდელი იყო. ეს კანონები ცხოვრებაში არ არა ხორციელდება და თუ ჰხელმძღვანელობენ მითი — ფორმის გულისთვის. გაიარა ათმა წელმა. მრავალი კანონი გამოიცა ამ ხნის განმავლობაში, მაგრამ ლოთობაზე კი არც-ერთი, კომიტეტებს ჩამოუჭრეს კრედიტი, ამით კომიტეტების მუშაობა ჩაკვდა, არყის საიდუმლო ვაჭრობის კანონი მივიწყებული იყო. ქუჩებში ლოთობა გადაიქცა ჩვეულებრივ მოვლენად, ბავშვების გასართობ საგნად, იმ ბავშვებისა, რომელნიც მომავალში რუსეთის მოქალაქეებად უნდა იყვნენ. ომის დროს მონოპოლიას დააწვნენ და მის მეოხებით დიდძალ თანხას შოულობდნენ. ამან ჩინებული შედეგი იქონია: მონოპოლიის შემოსავალმა ერთიორად იმატა, იგი ათი წლის განმავლობაში ნახევარ მილიარდამდე გაიზარდა. ამ ციფრის დასასურათებლად მოლაპარაკემ აღნიშნა, რომ სახალხო განათლების სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვა 160 მილიონს უდრის. ხალხი არაყზე წელიწადში მილიარდსა ჰხარჯავს და სახელმწიფო ქალაქებსა და ერობებთან ერთად ხალხის განათლებისთვის იძლევა მხოლოდ 300 მილიონს. განვლო ომისა და მღელვარების ხანამ, დადგა ეგრედ წოდებული დამშვიდების ხანა. ამ დროს განმავლობაში ქვეყნიერებაზე ბევრი რამ მოხდა: ევროპაში დაარსდა ორი სამეფო, დიდი ჩინეთი რესპუბლიკად იქცა; ბალკანეთის ნახევარი კუნძული სისხლის ღვრით შეშფოთდა, ინგლისსა და ამერიკაში ძირიანად შეიცვალა ცხოვრების საფინანსო და საეკონომიო საფუძველნი, გაიხსნა პანამის არხი. ჩვენ რაღა გავაკეთეთ ხალხის უუსასტიკეს წყლულთან საბრძოლველად? არაფრისგან არაფერი, მხოლოდ იშვა ახალი უბედურება, ახალი ჭირი—ხულიგანობა, ეს პირმშო შვილი ლოთობისა. ამ მახინჯ შვილთან საბრძოლველად ადგენენ და იგონებენ პროექტებს, მაგრამ ის კი ავიწყდებათ, მასთან ბრძოლა შეიძლება მხოლოდ ლოთობის საწინააღმდეგო ღონისძიებით.

(შემდეგი იქნება).

---

ჩვენი გაზეთის სურათებიანი დამატება დაურიგდებათ მკითხველებს საშაბათის ნომერთან. საშაბათის გაზეთში, სხვათა შორის, დაბეჭდილი იქნება **ანკეტა**—ქართველი მწერლების და მოღვაწეების აზრები ქალის შესახებ (1. ქალის მნიშვნელობა კაცობრიობის ისტორიაში, 2. რას უნდა მიაქციოს განსაკუთრებული ყურადღება დღევანდელმა ქართველმა ქალმა). დამატებაში დაიბეჭდება 20-მდე სურათი ქართველი ქალებისა—მწერლების, მსახიობების, საზოგადო მოღვაწეებისა.

---

## ახალი ამბავი

### ტფილისი

✦ **წმ. ნინოობა.** ეგზარხოსის განკარგულებით ერევნის ეპისკოპოსი პიმენი სიღნაღს მიემგზავრება, სადაც 14 იანვარს ბოდბის წმ. ნინოს მონასტრის ეკლესიაში სწირავს. ამავ დღეს მცხეთის სამთავრო წმ. ნინოს დედათა მონასტრის ეკლესიაში მწირველი იქნება საქართველოს საეგზარხოსო მონასტრების „ბლაღოჩინი“ არქიმინდრიტი ნაზარი.

14 იანვარს მოსწავლენი სწავლისაგან განთავისუფლებული იქნებიან. ამავ დღეს საღამოს ქართულს თეატრში გაიმართება ფრიად საყურადღებო სალიტერატურო-სამუსიკო და სამხატვრო საღამო.

✦ **დღეს მწირველნი არიან:** საქართველოს ეგზარხოსი ალექსი—ეგზარხოსის სასახლის ეკლესიაში, ხოლო გორის ეპისკოპოსი ანტონი—სიონის საკათედრო ტაძარში.

✦ **ბაქოს გუბერნატორი.** ვ. ვ. ალიშევსკი ამ ჟამად ტფილისში იმყოფება.

✦ **ფრინველთა გამოფენა.** ფრინველთა მომშენებელი საზოგადოება აღდგომის კვირაში ფრინველთა გამოფენას გამართავს.

✦ ჩვენი გაზეთის 1078 ნომერში მოთავსებული იყო ცნობა, რომ ნოდაბერიძემ **ილიასეულ სახლის გამოსასყიდად** 15 მანეთი შესწირაო. შემწირველი არის კიევში მყოფი მოვაჭრე **დოლიძერიძე** და არა ნოდაბერიძე.

✦ **წვრილი კრედიტი.** შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობად გადაკეთებულ იქმნა შემდეგი საკრედიტო ამხანაგობანი: გორის მაზრის სოფლებისა: ტორისა, დიდი-მეჯვრისხევისა, ქარელისა და საქაშეთის,—სიღნაღის მაზრისა—გურჯაანისა, კელმეჩურისა, ვაქირისა და კარდანახისა და ტფილისის მაზრისა—პატარძეულისა. შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობად გადაკეთდა აგრეთვე ტფილისის სახელოსნო საკრედიტო ამხანაგობა.

გორის მაზრის სოფელ ალის საკრედიტო ამხანაგობას დღემდე გრძელვადიან სესხად მიცემული ჰქონდა 2,000 მან., ხოლო მოკლე ვადიან სესხად—7,000 მან. სახელმწიფო ბანკმა ახლა ნება დართო, ხსენებულმა ამხანაგობამ მოკლე ვადიან სესხად 18,000 მან. გაიტანოს.

✦ სამარკანდის ოლქში სამხედრო გუბერნატორად დაინიშნა **ოდიშელიძე.**

✦ დღეს დიდუბის ეკლესიაში განსვენებულ მწერალ-მოღვაწის **გიორგი წერეთლის** სულის მოსახსენებლად წირვა და პანაშვიდია დანიშნული, რომლის შემდეგაც მის საფლავზე დადგმულს ძეგლს აკურთხებენ.

✦ **იუმორისტიული ჟურნალი.** დ. მელაშვილმა შუამდგომლობა აღძრა გუბერნატორის წინაშე, რათა ნება დართოს მას, გამოსცეს ტფილისში ქართული საზოგადოებრივ-სალიტერატურო და იუმორისტიული ჟურნალი სახელად „ლახტი“.

✦ **ანჩისხატის ტაძარში** დღეს წირვაზე პირველად იგალობებს ახლად შემდგარი გუნდი მომღერლის ალ. მაისურაძის ლოტბარობით

✦ **ქ. წ.-კ. გამარც. საზოგადოების 1914 წლის ხარჯთ-აღრიცხვის** შედგენა უკვე დასრულდა და ამ დღეებში საზოგადოების გამგეობა განიხილავს.

✦ სრულიად რუსეთის მასწავლებელთა კრებაზე უკრაინელ წარმომადგენელს ბ. იუდიჩს სურვილი გამოუთქვამს, რომ ქართ. ჟურნალი „განათლება“ ეგზავნებოდეს „სვიტლა“-ს რედაქციას უკრაინულ ჟურნალი კიევში და ეს უკანასკნელიც სიამოვნებით გამოუგზავნის თავის გამოცემასაო.

✦ **საფოსტო-სატელეგრაფო განყოფილება.** ტფ. გუბერნატორს ფოსტა-ტელეგრაფის უფროსმა აცნობა, რომ ის თანახმაა, გორის მაზრის სოფელ ჯავაში საფოსტო-სატელეგრაფო განყოფილება გახსნას იმ პირობით, თუ ამ სოფლის მცხოვრებნი იკისრებენ განყოფილებისთვის შენობის დათმობას და კვირაში ორჯელ ფოსტის ზიდვას. ამ განყოფილების გახსნის თაობაზე შუამდგომლობა აღძრეს ინჟენერმა გაგლოევმა, ალ. სანაკოევმა და სხვებმა.

✦ **ხორცისა და პურის ახალი ნიხრი.** 10 იანვარს კრება ჰქონდა ქალაქის საბჭოს სამეურნეო კომისიას, რომელმაც საჭიროდ დაინახა ხორცის ნიხრი გაადიდოს. გირვანქა ხორცზე დააწესა: ძროხისაზე-13 კ., ნაცვლად ახლანდელ 11 კაპეიკისა, ცხვრისაზე-15 კ., ნაცვლად 13 კ., ღორისაზე-14 კ., ნაცვლად 13 კ. და კამეჩისაზე-8 კაპ., ნაცვლად 7 კაპ. ამის შემდეგ კომისიამ ხმოსნის ქობულაშვილის წინადადებით დაადგინა, პირველ ხარისხის თორნის პურზე შაურის ნაცვლად $4^1/_2$ კ. დააწესოს, რადგანაც ამ ხარისხის პურს, რიგიანს არ აცხობენ.

✦ მეფის მოადგილის საგანგებო საქმეთა მოხელე **სტრელბიცკი** სამსახურის საქმეთა გამო დღეს პეტერბურგს მიემგზავრება.

✦ **სტიპენდიები.** 17 იანვრისთვის დანიშნულია ქ. შ. წ.-კითხვის გამავრც. საზოგადოების გამგეობის კრება, რომელიც, სხვათა შორის, გაანაწილებს საზოგადოების სტიპენდიებს.

✦ **ქ. შ. წ.-კ. გამავრც. საზოგადოების ახალი მდივანი** ვარლამ ბურჯანაძე უკვე შეუდგა თვის თანამდებობის აღსრულებას. ძველი მდივანი გ. ბურჭულაძე, რომელიც საზოგადოების სკოლებისა და ბიბლიოთეკების ხელმძღვანელ-მეთვალყურედ დაინიშნა, ამ დღეებში კავკავის სკოლის დასათვალიერებლად მიემგზავრება.

### საზოგადოებანი და კრებები

✦ **ქ. შ. წ.-კითხვის გამავრც. საზოგადოების** გამგეობამ გუბერნატორს აცნობა, რომ წესდების ძალით ის საზოგადოების განყოფილებას აარსებს. ალაგირში (თერგის ოლქი).

✦ **ქალაქის საბჭოს** მორიგი კრება დანიშნულია ორშაბათს, 13 იანვრისთვის. კრებას 23 საქმე აქვს განსახილველი, მათ შორის: 1) გამგეობის მოხსენება ხორცის ნიხრის მომატების შესახებ, 2) ქალაქის ხარჯთ-აღრიცხვა, 3) ხმოსნის ს. ხ. სულხანოვის განცხადება ქალაქის გამგეობის ორის ახალ წევრის თანამდებობის დაარსების შესახებ, 4) გამგეობის მოხსენება იმის შესახებ, რომ ავჭალის წყალსადენზე ორთქლის მანქანები დიზელებით შეიცვალოს, 5) ქალაქის იურისკონსულტად ნამყოფ ქანანოვის პრეტენზიები, 6) გამგეობის მოხსენება იმის შესახებ თუ თვითმართველობის მოსამსახურეთ ყოველ ხუთის წლის სამსახურისთვის ჯამაგირები მოემატათ, 7) გამგეობის მოხსენება საპოლიტეხნიკუმო ადგილის მოწესრიგებისა და პოლიტეხნიკუმის შენობამდე მისასვლელ გზის გაყვანის შესახებ, 8) გამგეობის მოხსენება შიოევისეულ ადგილზე გოლოვინის პროსპექტზე, სახლის აგების შესახებ და 9) გამგეობის მოხსენება ქალაქის საუქციონო დარბაზის გაუქმების შესახებ.

### სომეხთა ცხოვრება

✦ დღეს, სომეხ-გრიგორიანთა ეპარქიის უფროსის სადგომში სომხის საზოგადო მოღვაწეების წინაშე სახელმწიფო სათათბიროს წევრი მ. პაპაჯანიანი წაიკითხავს მოხსენებას რამდენიმე საზოგადო საკითხზე.

### სასამართლო.

✦ **კიდევ „წითელი ოთახი“.** 27 იანვრისთვის ტფ. ოლქის სასამართლოში დანიშნულია საქმე „წითელი ოთახი“-ს შესახებ. ეს საქმე რამდენჯერმე იყო დანიშნული და სხვა და სხვა მიზეზის გამო ყოველთვის გადაიდო. სასამართლოში მიცემულია „რუსსკოე ზნამიის“ რედაქტორი ცნობილი დუბროვინი, რომელსაც კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი უჩივის, ჩემს ქალს ცილი დასწამა მით, რომ თვის გაზეთში დასწერა ცნობა, კითომც იგი მონაწილეობას იღებდა ტფილისში აღმოჩენილ წითელ ოთახშიო. როგორც ამბობენ, საქმის გარჩევის დროისთვის დუბროვინითვით ჩამოვა ტფილისში. მის მიერ სასამართლოში მოწმებად მიწვეულნი არიან: ტფ. გუბერნატორი ა. გ. ჩერნიავსკი, ტფ. მაძებარ პოლიციის უფროსი გაგიევი პირველი გიმნაზიის დირექტორად ნამყოფი ი. ე. გამყრელიძე, ქ. თუმანოვი, ფ. ხარაზოვი, ჟურნალისტი ლევან ყიფიანი და კლავდია კოროლენკო.

### ოზურგეთი

✦ ოზურგეთის ქალ. საბჭომ დაადგინა შუამდგომლობა აღძრას ნატანებიდან ოზურგეთამდე რკინის გზის შტოს გაყვანას შესახებ.

# ასალამურდა...

ასალამურდა... და შენს თვალებში,
და შენს თვალებშიც ასალამურდა,—
თითქოს მთის ნისლი ზღვის ნაპრალებში
შესრიალდაო და გადაცურდა...

ახ, როგორ მსურდა! ახ, როგორ მწამდა,
რომ ზედ დაგწნოდი ნისლად ქცეული,—
მაგრამ ეგ თვალი რად ჩაგიღამდა,
თვალი ფიქრისგან გამოქცეული?..

ი. გრიშაშვილი.

# მოგონებანი არმაზის მთაზე.

კიდევ ვნახე წელთა შემდგომ ის ცა, ის მხარე,
სადაც ყრმობის ჟამს მეგობრებთან დრო გავატარე.
რარიგ ლამაზად შემკულ იყო მაშინ ეს მთები!
რარიგ სილაღით გვეშალა სიხარულ ს ფრთები!
შუბლი გაეხსნა უკვდავებით დაროვეულ კლდესა,
ვით მოხუცებულს ახალგაზრდათ ქორწილის დღესა.
ფრთოსანთ სამეფოს მაყრიონიც მხიარულებდა
და საამქვეყნო ნეტარებით გვასულდგმულებდა.

—

მაშინ აქ მყვანდნენ სიყრმის ტოლნი, ძმა-მეგობარნი,
ჩემთან შეზრდილნი, შეწყობილნი, სვე—თანაბარნი.
მაშინ ნიავიც—ეხლა ოხვრით ფოთოლთა მგვემი—
დაგიემაჟობდა, ყვავილებზე ლექსების მთქმელი.
და ეხლა? ეხლა? ეხლა ხევში წყარო ქვითინებს,
მთებს ჯანღი ჰბურავს, ნიავიცა კვნესის, სისინებს...
ყოველივეა მწუხარებით იმის მეტყველი,
თუ დღეის იქით სიხარულსა ფუჭად-ღა ველი.

—

სადღა არიან მეგობარნი, თანამგრძნობელნი,
ჭირში და ლხინში მოყვარულნი, განუყოფელნი?—
ზოგი ტყვედ არის, ზოგს შეეხო სიკვდილის კოცნა,
ზოგიც ცხოვრებამ უკუღმართმა შორს გადასტყორცნა...
აღარ არსებობს მათი მხარე, იმათი ზღუდე,
თუ ავცდი სრულად, საბოლოოდ გზა გავიბრუდე?..
ძმანო, სადა ხართ? მიპასუხეთ მოღლილს გოდებით!
კიდევ გნახავთ, თუ ცალ-ცალკე დავიხოცებით?!.

ი. მჭედლიშვილი.



## გიორგი წერეთელი

მის საფლავზე ძეგლის დადგმისა და კურთხევის გამო.

# დღიური

### ჩვენი სამღვდელოება.

— იმის მკითხავთ, თუ რა ამბებია სასულიერო წრეებში? ახალი ხომ არაფერია მოსალოდნელი? როგორ შეხვდა ჩვენი სამღვდელოება ახალს ეგზარხოსს?“—ასე მესაუბრებოდა ერთი ქალაქელი ქართველი მღვდელი, რომელიც კარგადაა ჩახედული ჩვენი ეკლესიის საქმეებში: „ყველაზე უწინარეს ის უნდა მოგახსენოთ, რომ დიდად შემცდარია, თუ ვინმე რაიმე ცვლილებას მოელის დღეს ივერიის ეკლესიის ცხოვრებაში. საეკლესიო პოლიტიკა ჩვენში ოდნავად არ გადაიხრება არც ერთ მხრისკენ ან თუ გადაიხრება, ისევ მარჯვნივ. ტყუილად და უსარგებლოდ თავს ნურავინ მოიტყუილებს და ნუ ინუგეშებს, ცრუ ხმებსა და ჭორებს ყურს ნუ ათხოვებს და ყალბს იმედებს ნუ მიეცემა. უკვე შემეძლო რამდენიმე მაგალითი დამესახელებინა ჩემის აზრის დასამტკიცებლად, მაგრამ არა ღირს... იქონიეთ მოთმინება და ყველა თვითონ დაინახავს, რომ ყველაფერი ისევ ძველის გზით ივლის.

მაგრამ ყველაფერზე უფრო საინტერესო აი რა არის: თქვენ მკითხავთ, როგორ მიეგება ქართველი სამღვდელოება ახალს ეგზარხოსს და გინდათ გაიგოთ, აქვს თუ არა ჩვენს სამღვდელოებას გათვალისწინებული ქართული ეკლესიის ეხლანდელი მდგომარეობა, ჰგრძნობს თუ არა ამ მდგომარეობის უხერხულობას და ცდილობს თუ არა, აუხსნას, განუმარტოს ახალს ეგზარხოსს ჩვენი ეკლესიის ბედი?

დიახ, ეს არის ფრიად საინტერესო, საინტერესოა ჩვენი სამღვდელოების თვითშეგნება. რასაკვირველია, არავინ იფიქრებს, რომ ამგვარის ახსნითა და განმარტებით ჩვენ ავტოკეფალიას მოვიპოვებთ, არ იფიქრებს, რომ ეგზარხოსს შეუძლია ქართული ეკლესიის ბედის გადაწყვეტა, არც იმის იმედი ექნება ვისმე, რომ ქართველი სამღვდელოება უთუოდ დაარწმუნებს ეგზარხოსს და დაუმტკიცებს ჩვენს სიმართლეს. საერთო პოლიტიკის შეცვლა ასე ადვილად არ ხდება. მაგრამ ჩვენის სამღვდელოების ყოფაქცევას სუბიექტივური ღირებულობის მნიშვნელობა აქვს, იგი გამომსახველია იმისა, თუ რამდენად გავრცელებულია ჩვენში თავისუფალი ეკლესიის საჭიროების შეგნება და რამდენად მომზადებულნი ვართ ავტოკეფალიის მისაღებად. და თუ ამ მხრით შევხედავთ საქმეს, უნდა აღვიაროთ სამწუხაროდ, რომ ჩვენი სამღვდელოება მოკლებულია ყოველს ღირსებას, შეგნებას, თავმოყვარეობას და მისთვის ავტოკეფალიის საკითხი სრულებით არაა ღრმა რწმენის და მისწრაფების საგანი...

დღეს ქართველი სამღვდელოებას ყურადღება საერო საქმისკენ კი არაა მიქცეული, იმას კი არ ცდილობს, გააღრმავოს აზრი ავტოკეფალიურ ეკლესიისა და ყველგან სიტყვით და საქმით დაიცვას თავისი სიმართლე, არამედ გატაცებულია მხოლოდ პირადის დაწინაურებით და მხოლოდ იმას ჰფიქრობს, რომ რაც შეიძლება უკეთესად მოაწყოს თავისი პირადი ცხოვრება, უზრუნველჰყოს თავისი საკუთარი კეთილდღეობა. ამ ნიადაგზეა აღმოცენებული ქართველი სამღვდელოების პარტიებად დანაწილება დღეს და თვითოეულის ჯგუფის ერთად ერთი ცდამარტო ისაა, რომ რაც შეიძლება მეტი ჯილდო და დაწინაურება მოუპოვოს თავის წევრებს და სამაგიეროდ დაამციროს და დაღუპოს სხვა ჯგუფის წევრები. ჩვენს სამღვდელოებას სხვა საფიქრებელი და საdარდელი დღეს არა აქვს რა...

მეტის მეტად შემცდარი აზრია ის, რომ ვითომც ჩვენი ეკლესიის დაბეჩავება სხვების ბრალი იყოს, ვოსტორგოვის და მისთანებისა. განა სხვებმა შეგვიშალეს ხელი, რომ განმათავისუფლებელი მოძრაობის დროს, როცა საქმის ვითარება ისე გვემხრობოდა, ჩვენ არ აღვადგინეთ ჩვენი ეკლესიის დამოუკიდებლობა? განა არ გახსოვთ, რომ სინოდში, როცა პროფესორები ნ. მარი და ალ. ცაგარელი ისე თავგამოდებით იცავდნენ ჩვენს უფლებას, მოწინააღმდეგებმა წინ გადმოშალეს წარჩინებულ ქართველ მღვდლების საბეზღარი განცხადებანი, რომ ავტოკეფალიას მხოლოდ რამდენიმე ნაციონალისტი პოლიტიკოსი თხოულობს და ქართველ ერს სრულებით არ ესაჭიროება ეკლესიის თავისუფლებაო? განა დაგავიწყდათ ის, რომ მრავალნი იმ მღვდელთაგანი, რომელთაც რაღაც წუთიერის გატაცებით ხელი მოაწერეს ავტოკეფალიის მოთხოვნის პეტიციას, უცბად უკუ გადგნენ და ზურგი შეაქციეს საქართველოს ეკლესიის ბედს, როგორც კი შემოსავლიანი ადგილები იშოვნეს და წითელი ლენტები გაიკრეს გულებზე?..

რაც მაშინ ხდებოდა, ის ხდება დღესაც, ხოლო უფრო ძლიერ, აშკარად, მოურიდებლად. როგორც მაშინ თვით ჩვენვე ვღალატობდით ჩვენს საქმეს, ისე ვღალატობთ დღესაც. ჩვენს სამღვდელოებას ავტოკეფალია კი არ უნდა, არამედ კარგი ჯამაგირები, უხვი ჯილდოები და მშვიდობიანი, კეთილი ცხოვრება. და არ იფიქროთ, რომ ასეთი იყოს მარტო ქალაქის სამღვდელოება. არა, ასე გადაგვარებულია, ასე ერის საწინააღმდეგოდ მოღვაწეობს სოფლის სამღვდელოებაც. აი, რა საყურადღებო ამბავი მომივიდა გუშინ წინ: თიანეთის ერთს მოყრუებულს სოფელში, ოსიაურში შობა დღეს ადგილობრივმა მღვდელმა რუსულად აგალობა, რუსულად სწირა და რუსულად აკურთხა იორდანე ნათლისღებას. რისთვის? ღვთის სადიდებლად? მორწმუნე ხალხის სასიამოვნოდ? ქართული ეკლესიის გასამშვენიერებლად!..

ჰეშმარიტად ასეთი სამღვდელოება ვერ დაიმსახურებს ყურადღებას. მართალია ვოსტორგოვი, რომელიც ზიზღით მოგვიხსენიებს ხოლმე. ჩვენ ასეთს სამღვდელოებას [illegible] აბარებს თავისუფალს ეკლესიას. ან სხვამ რატომ უნდა მოგვცეს, რაც ჩვენ თვით არ გვინდა, რასაც თვითონ არ ვაფასებთ, პატივს არა ვსცემთ! ვინ უნდა აამაღლოს ხმა ივერიის ეკლესიის უფლების დასაცავად, თუ ქართველი სამღვდელოება სდუმს; არა თუ სდუმს, ამ ეკლესიის დამცირებას ცდილობს, მის დასამხობად მოღვაწეობს! რა უნდა ჰქნან ერის კაცებმა, თუ სამღვდელონი ასე დაშორდნენ ეკლესიას და პირად ინტერესებს შესწირეს ავტოკეფალიის ინტერესები! რა პასუხი უნდა გავსცეთ გარეშე მტერს, როცა შიგ ასე გაირავლდნენ მტრები?..

ასეთია ჩემი დასკვნა, დაათავა თავისი მწარე სიტყვა ნაცნობმა მღვდელმა: გულგატეხილი ვიყავი ჩვენს სამღვდელოებაზე წინადაც, მაგრამ ეხლა მთლად დავკარგე ყოველი რწმენა და იმედი“.

**სიტყვა.**

# გიორგი წერეთლის ხსოვნას

დღეს აკურთხებენ ძეგლს გიორგი წერეთლის საფლავზე. ცამეტმა წელმა განვლო მას შემდეგ, რაც იგი გარდაიცვალა. მას აქეთ ბევრი რამ შეიცვალა, ბევრი რამ ახალი გაჩნდა, ბევრი ახალი აზრი დაიბადა, მაგრამ გ. წერეთლის სახელი წარუშლელია და მუდამ მოსაგონებელი იქნება, რადგან მისი მრავალმხრივი მუშაობა—როგორც ქართველი პუბლიცისტის მეტად თვალსაჩინოა, ხაყოფიერი და ძვირფასი ჩვენი ერის კულტურულ ცხოვრებისთვის. გიორგი წერეთელი დაიბადა 1842 წელს ზემო იმერეთში, სოფელ გორისაში. სწავლა მიიღო ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში და მერმე პეტერბურგის უნივერსიტეტში. შემდეგ გაემგზავრა უცხოეთში სწავლის დასასრულებლად. შვეიცარიაში და გერმანიაში ისმენდა ლექციებს საბუნებისმეტყველო და სოციოლოგიური საგნებისას. სამშობლოში დაბრუნებისას იგი ჩაუდგა სათავეში საზოგადო საქმეებს და სხვებთან ერთად მესამოცე წლებში დაუცხრომლად მოღვაწეობდა სიცოცხლის შეწყვეტამდე. მესამოცე წლების მოწინავე ჯგუფთან ერთად იგი ჰქადაგებდა ჰუმანიურ იდეებს. სწერდა ჯერ „ცისკარში“ 1862 წ., მერმე „საქართველოს მოამბეში“. „დროებაში“ და სხვა. დაარსა „სასოფლო გაზეთი“, შემდეგ თავის მეუღლესთან ერთად დაარსა საყმაწვილო ჟურნალი „ჯეჯილი“ და 1893 წელს ჟურნალი „კვალი“, სადაც იბეჭდებოდა მისი პუბლიცისტური და ბელეტრისტული წერილები. გიორგი წერეთელი ცნობილია როგორც ლეტრისტი რეალური მიმართულებისა.

ქართველი მკითხველი საზოგადოება კარგად იცნობს მის რომანებს „კიკოლიკი, ჩიკოლიკი და კუდაბზიკა“, „ჩვენი ცხოვრების ყვავილი“, „პირველი ნაბიჯი“, „მამიდა ასმათი“ და სხ. გიორგი წერეთელი, როგორც საზოგადო მოღვაწე, იყო დემოკრატი და მხნე, დაუღალავი დამცველი თავის ერის ინტერესებისა.

ვიმეორებთ, მისი ხსოვნა ყველასთვის ძვირფასია, ვინც რა მიმართულების და რწმენის უნდა იყოს. გ. წერეთელი არ ეკუთვნოდა რომელიმე ვიწრო ჯგუფს, მისი მოღვაწეობა თვალსაჩინოა და ფართო, მისი ნაშრომი მთელი ერის სალაროშია.

# დეპუტატ ტკულიაოვის დაპატიმრება

6 იანვარს სათათბიროს სოციალ-დემოკრატთა ფრაქციის წევრს ტულიაკოვს ფრიად დამახასიათებელი უთანხმოება მოუხდა პოლიციასთან.

ამ დღეს ასაფლავებდნენ ბალტიის ქარხნის მუშას, რომელიც მუშაობის დროს დაიღუპა. გარდაცვალებულს მუშები ხელით მიასვენებდნენ. მუშებში ტულიაკოვიც ერია. მიუხედავად იმისა, რომ მუშებს თავი თავაზიანად ეჭირათ და მშვიდობიანობა ერთხელაც არ დაურღვევიათ, პოლიცია მაინც ერეოდა პროცესიაში. პოლიციამ გვირგვინებზე მოახსნევინა წითელი ლენტები. განსვენებულის ამხანაგებმა დაიწყეს გალობა: „თქვენ მსხვერპლი გახდით მკაცრი ბრძოლისა!“ მაგრამ ცხენოსანი პოლიცია შიგ ბრბოში შეიჭრა და შეაწყვეტინა გალობა; ამ დროს დააპატიმრეს სამი კაცი. დეპ. ტულიაკოვმა მიჰმართა პოლიციელებს თხოვნით. გაეთავისუფლებინათ დაპატიმრებული მუშები, მაგრამ პოლიციამ არ შეიწყნარა დეპუტატის თხოვნა და გრადონაჩალნიკზე მიუთითა. სასაფლაოზე დაკრძალვის დროს ტულიაკოვი სიტყვით უნდა გამოსთხოვებოდა განსვენებულს, წარმოსთქვა მხოლოდ ერთი სიტყვა: „ამხანაგებო!“ ამ დროს დეპუტატს ლანძღვაგინებითა და შეკუმშული მუშტით მივარდა უბნის ზედამხედველი. ორმა პოლიციელმა დეპუტატს სტაცა ხელებში ხელი და ისე დაიკავა. უბნის ზედამხედველი დეპუტატს უშვერის

პირით ლანძღავდა. დეპუტატმა მოსთხოვა ზედამხედველს ზრდილობიანად მოპყრობოდა და თვისი გვარი შეეტყობინებინა. ზედამხედველმა ამაზე დაცინვით უპასუხა: „მობრძანდი პოლიციაში და იქ შეგატყობინებ ჩემს გვარსო!“ მუშები ამ ამბით ფრიად აღელდნენ ‹› შეეცადნენ დეპუტატის განთავისუფლებას. აღელვებული მუშები ძლივ-ძლივობით დააშოშმინეს ამხანაგებმა. დეპუტატს შეეკითხნენ, რა გვარი ხარო; დეპუტატმა თვისი გვარი უთხრა და მოითხოვა პოლიციაში წაყვანა, საცა მის ვინაობასაც გაიგებდნენ. დეპუტატი პოლიციის გაძლიერებული რაზმის თანხლებით წაიყვანეს პოლიციაში. აქ დეპუტატმა თვისი ვინაობა შეატყობინა. პოლიციელებმა მაშინვე შესცვალეს თვისი მოპყრობა. შეადგინეს ოქმი, რაზედაც ტულიაკოვს ხელი არ მოუწერია. ოქმის შედგენის შემდეგ დეპუტატი გაანთავისუფლეს.

დეპუტატი დაპატიმრებული იყო ერთ საათს. 7 იანვარს ამ ინციდენტის გამო კრება უნდა ჰქონოდა სოციალ-დემოკრატთა ფრაქციას.

# დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტოსაგან).

**11 იანვარი.**

**უცხოეთი.**

**ლონდონი.** ხმებია, რომ მინისტრთა საბჭოს სხდომის დროს უთანხმოება მოხდა ლოიდ-ჯორჯისა და ჩერჩილის შორის საზღვაო ხარჯთ-აღრიცხვის საკითხის გამო. კრების შემდეგ ორივენი საადმირალოში გაემგზავრნენ და იქ ისაუბრეს მთელი საათი. ღამით ხმები გავრცელდა, რომ მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ კაბინეტი შეთანხმდა. ხარჯთ-აღრიცხვა არ განსხვავდება ჩერჩილის გეგმისაგან.

გაფიცულ ნახშირის დამტარებელთა რიცხვი—15,000 უდრის, გაფიცულებმა განაცხადეს, რომ მიუხედავად სიყვარულისა ავადმყოფებისადმი ისინი ამ ჟამად იძულებულნი არიან ნება არ დართონ საავადმყოფოებში ნახშირის მიტანისა. დღითი ლონდონის ჩრდილო ნაწილში არეულობა მოხდა, რომელიც პოლიციამ შესწყვიტა.

**ბერლინი.** ნაშუადღევს თერძი სოლომონი დაედევნა კრონპრინცის ავტომობილს, რომელიც სასახლეში ბრუნდებოდა. სოლომონი პოლიციელებმა შეიპყრეს. მან განაცხადა, რომ იგი ძმაა კრონპრინცისა, რომელიც არ აღიარეს და უნდოდა ეთხოვა სადსარი საცხოვრებელი. ოფიციალურად ირწმუნებიან, რომ ამ შემთხვევაში შეუძლებელია ბოროტ-მოქმედების განზრახვას ჰქონოდა ადგილი. სოლომონი შეშლილია. იგი საავადმყოფოში მოათავსეს.

რეიხსტაგში მსჯელობა იქონიეს სოციალისტებისა და პროგრესისტების შეკითხვის შესახებ. სტრასბურგის სასამართლოს განაჩენის გამო, სოციალისტმა ფრანკმა კრონპრინცის წინააღმდეგ მკაცრი კრიტიკით გაილაშქრა. კანცლერმა პროტესტი განაცხადა. პროგრესისტი ფონ-ლისტი იურიდიულად ამტკიცებდა პოლკოვნიკ რეიტერის მოქმედების უკანონობას და მწუხარებას გამოსთქვამდა, რომ საეხელრო სასამართლოს უმაღლესმა ინსტანციებმა არ ისარგებლეს თავისი იურიდიული უფლებებით. იმპერიის კანცლერმა პროტესტი განაცხადა იმის წინააღმდეგ, რომ თითქოს სცდილობენ აღადგინონ ძველი შუღლი იმპერიის ჩრდილო და სამხრეთ მხარეებს შორის. მან მკვახედ უპასუხა სოციალისტებს, აღნიშნა, სხვათა შორის, რომ სამხედრო მინისტრი შორს არის ფიქრისაგან, რომ ჯარი პოლიციელად აქციოს. რეიხსტაგში მშვიდობიანობაა, ვიდრე წინა კამათის დროს.

**ვენა.** განახლდა კონფერენციის მუშაობა ჩეხებსა და გერმანელებს შორის შეთანხმების საკითხისა. პირველმა მინისტრმა გერმანელების და ჩეხების წარმომადგენლებს მთავრობის მოსაზრებანი გააცნო.

**ბუდაპეშტი.** დეპუტატთა პალატაში დიდი მღელვარება მოხდა. ოპოზიციამ მინისტრ-პრეზიდენტ ტისას გუშინდელ სიტყვაში დაინახა ღრმა შეურაცხყოფა დეპუტატ დეზისა. ოპოზიციის აზრით პალატის თავმჯდომარეს უნდა შეეჩერებინა მინისტრ-პრეზიდენტი. უწესოების დროს ოპოზიციის რამდენიმე წევრი დაითხოვეს სხდომის დარბაზიდან. ოპოზიციამ ნიშნად პროტესტისა დარბაზი მიატოვა. პალატამ დაასრულა ბეჭდვითი სიტყვის კანონ-პროექტის განხილვა. დეპუტატმა დეზიმ ტისა დუელში გამოიწვია.

# თეატრი და ხელოვნება

**ქართული თეატრი.** მოვაგონებთ მკითხველებს, რომ დღეს, კვირას, ქართულს თეატრში ხელმეორედ წარმოდგენილი იქნება პაროდის ტრაგედია ანტიური ცხოვრებიდან „დამარცხებული რომი“, რომელიც ამ ორი კვირის წინედ იყო წარმოდგენილი და ჩვენს საზოგადოებაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. მთავარ როლებს შეასრულებენ ქ-ბნი ნინო ჩხეიძე, მდივანი ბ-ნნი: გუნია, მესხი, იმედაშვილი, ზარდალიშვილი, იშხნელი და სხვანი.

**ალ. შანშიაშვილის ახალი დრამა „უგვირგვინო მეფენი“.** ჩვენი ნიჭიერის მგოსნის ალ. შანშიაშვილის ახალი ისტორიული დრამა „უგვირგვინო მეფენი“ ანუ გიორგი სააკაძის პირველი დრო. წარმოდგენილი იქნება ნიჭიერი მსახიობი ალექ. იმედაშვილის საბენეფისოდ ხუთშაბათს, 16 იანვარს. პიესას სდგამს ბ-ნი ქორელი. წარმოდგენაში მონაწილეობას ღებულობს მთელი დასი და ნინო ჩხეიძეც.

**„სინათლე“ სახაზინო თეატრში.** იოსებ გედევანიშვილის პიესა ზღაპარი სინათლე მეშვიდე ჯერ წარმოდგენილი იქნება სახაზინო თეატრში ჩვეულებრივ ფასებში და საზოგადოებას საშუალება მიეცემა პიესა ნახოს იაფად, ხოლო თეატრის სიდიდე ხელს შეუწყობს ყველას უბილეთოდ აღარ დარჩნენ, როგორც ეს არა ერთხელ ხდებოდა ხოლმე ქართულს თეატრში.

**ელისაბედ ჩერქეზიშვილი თავის საბენეფისოდ** სდგამს ბ-ნი ირეთელის ახალს პიესას, რომლის შინაარსი ჩვენ თანამედროვე ცხოვრებას შეეხება. ჩერქეზიშვილის ბენეფისი დანიშნულია ამ თვის 23 ს.

**კონსტ. ყიფიანის 45 წლის იუბილეზე** წარმოდგენილი იქნება თითო მოქმედება „და-ძმიდან“, „პეპოდან“ და „მეფე ლირიდან“. იუბილე დანიშნულია კვირას, 26 იანვარს.

**შილერის დიდებული ტრაგედიის „დონ-კარლოსის“** რეპეტიციებს უკვე შისდგომიან ქართულს თეატრში. ტრაგედია წარმოდგენილი იქნება ბ-ნი შალიკაშვილის რეჟისორობით, რომელიც თურმე ამ პიესას სდგამს სრულებით ახალის დეკორაციულის საშუალებით, ისე როგორც ამას წინედ დაუდგამს პარიზში ცნობილს რეჟისორს ანტუანს შექსპირის ტრაგედია „ჰამლეტი“, მთავარი როლები დონ-კარლოსში განაწილებულია ბ-ნ იმედაშვილის, ზარდალიშვილის, გუნიას, მესხის, დავითაშვილის და მდივნის შორის.

რედაქტორი **ნ. კურდღელაშვილი.**
გამომცემელი **ა. ჯაჯანაშვილი.**


## ექიმ ნავასარდიანის პირველი კერძო სამკურნალო

(დაარსებულია 1880 წელს)

ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.
**ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, გარდა კვირისა.**

**დილით:**

**„606“ და „914“**

**11—12 ს. შეშხაპუნება კონსულტაციურად.**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.
**ბ. გ. ავახაროვი:** 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საზვირო, ქალებისა და ბიეშვებისა.
**გ. გ. ბენიამინოვი:** 10—12 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.
**მ. გ. აგეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
**ა. პ. კარაპეტიანცი:** 12—1 ს. შინაგანი, ბავშვთა და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი **ო. გ. ტერ-დავიდოვისა** 1—2 ს. საზვირო და ქალების ავადმყ.

**საღამოთ:**

**მ. გ. აგეტისიანცი:** 6—7 საათ.
რიგვა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის
1004 დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**



## სამშობიარო თავშესაფარი თუხარელისა

**გადავიდა** საკუთარ სახლში, გოლოვინის პროსპექტის ახლოს, ვოდოვოზნის შესახვევი **№ 8.** მიღება მშობიარეთა ყოველთვის დღე და ღამე, საამბულატორიო მიღება ავადმყოფებისა, მასსაჟი და ყვავილის აცრა საღამოს 4 ს.-დან 5 ს.-მდე. 1511



1914 წ. იანვრიდან ტფილისში გამოვა ყოველ თვიური

**სამეცნიერო ჟურნალი**

## „ჩვენი სიძველე“.

ჟურნალში დაიბეჭდება წერილები (სპეციალური და პოპულიარული) საქართველოს წარსულის შესახებ. ჟურნალი დასურათებული იქნება. ჟურნალში მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი წარსულის საუკეთესო მცოდნენი. ჟურნალი გამოვა ყოველ თვის შუა რიცხვებში. ჟურნალის ფასი წლიურად 7 მან., რომელიც შეიძლება შემოტანილ იქმნას ნაწილობით—ჯერ 3 მან., და შემდეგ ორ-ორი. ჟურნალი ცალკე ნომრობით არ გაიყიდება.

ფულისა და კორესპონდენციისათვის **ადრესი:**

Тифлисъ. Высшіе женскіе курсы, Сергѣю Несторовичу Какабадзе.

ტფილისში ხელის მოწერა მიიღება წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, ხოლო ქუთაისში „იმერეთის“ კანტორაში ის. **კვიცარიძესთან.**

1653 რედაქტორ-გამომცემელი **სარგის კაკაბაძე.**



**ინჟენერი** **ტფილისი**

## ი. ს. პონდოევი

ელისაბედის ქუჩა, 164, ბაქოს ქ. კუთხე.

## რკინის კოჭები, საქვაბე რკინა, რკინა საკუთხე, რკინა სახლის სახურავისათვის.

**ტელეფონი კანტორისა № 123.**

**ცემენტი** ასფალტი, გუდრონი, ცეცხლში გამძლე აგური და თიხა, ლურსმები, ანჯამები სხვა საამშენებლო მასალა. 1025.

აგური სახლების ასაგებად, საკუთარი აგურხანისა, ვაკეში.






ბ-ნთ აბულაძისა და კაკაბაძის რედაქტორობით განზრახულ

## „ვეფხის ტყაოსნის“

**ხელის მომწერთა საყურადღებოდ.**

იუსტინე აბულაძე და სარგის კაკაბაძე ამით აცხადებენ, რომ მათ თავის ხელის მომწერთა უკეთ დასაკმაყოფილებლად საუმჯობესოდ დაინახეს თავისი გამოცემის გაერთიანება. **ბ-ნთ აბულაძისა და კაკაბაძის ხელისმომწერნი მიიღებენ „ვეფხის ტყაოსანს“ ორთავ პირთა საერთო გამოცემას,** რომელიც შეიცავს: 1) გამოკვლევას ს. კაკაბაძისა, 2) გამოკვლევას ი. აბულაძისას, 3) ტექსტს, შემუშავებულ ს. კაკაბაძის მიერ და 4) ვრცელ ლექსიკონს ი. აბულაძისას. წიგნს ექნება სურათები მე-17 საუკუნ. მინიატურებიდან. ბ-ნ აბულაძის წიგნის მანეთიანი ხელის მომწერლები მიიღებენ ამავე გამოცემას უსურათებოდ.

წიგნი გამოვა იანვრის დამლევს ‹› მაშინვე დაურიგდება ხელის მომწერლებს.

ბ-ნ **აბულაძის** ადრესი: Тифлисъ. Авлабаръ. Кабгеровская 29.
ბ-ნ **კაკაბაძის** ადრესი: Тифлисъ. Высшіе женскіе Курсы. 1024



## ალტაცებისათვის იშვიათი შემთხვევა!



**ჩვენი ნივთების ლაწახვით გთაცდელით, რომ დესაცა გაიგებთ, თუ რა იაფი ფასები დავაწესეთ მათზე, რომელიც დარწმუნდებით ჩვენი საქონლის კეთილ ღირსებაში.**

**მხოლოდ 4 მ. და 95 კ.** ვგზავნით შემდეგს ძვირფას და სასარგებლო ნივთების გარნიტურს: 1. მშვენიერ ჯიბის საათს, ნამდვილი შავი ფოლადისას, ახალ მოდურს, ძლიერ თხელს, მოსართავი თავში აქვს და მორთვა სპირია ყოველ 40 საათის განმავლობაში ერთხელ, ნამდვილი ანკერი, მუშაობს ქვებით, ან და ქალებისათვის ცილინდ., წუთამდე შემოწმებული, **უეჭველად სწორი მუშაობა,** პასუხის-გება აქვსი წლის განმავლობაში. 2. კოხტა და მოდური ძეწკვი ორფად ნამდვილი „დუბლე“-ს ლითონიდან, საუკეთესო შნოისა, 3. ძლიერ საინტერესო ბრელოკს, 4. საათისათვის ზამშის ბუდეს, 5. საზღვარ-გარეთულ საფულეს ტყავისას, აქვსი განყოფილებით და მექანიკური გასაღებით, კოხტა პარიზის ხელობისას, 6. რეზინის ბეჭედს, რომელზედაც ეწერება გვარი, სახელი და მამის სახელი შემკვეთელისა. 7. საათების დასაცავს ქურდებისაგან, 8. სათეატრო ბინოკლს, საუცხოვო ნახელავს, ოთხი აქრომატიულ შუშით, რომელიც ძლიერ ადიდებს შორეულს საგანებს, 9. სტერეოსკოპს—ცოცხალ სანახაობას, რომელიც აჩვენებს ნახატებს ბუნებრივად, 10. ამისათვის აქვს ფრიად საინტერესო სურათს, 11. კაქლუც საჩუქარს ქალებისათვის, რომელსაც შეადგენს ბეჭედი დუბლე-ოქროსაგან, ფრანგული ბრილიანტით, ასეთსავე ბროშკას და ახალმოდურ ფასონის წყვილ საყურეებს, 12. საშინაო სტამბას, რომელიც შესდგება რეზინის 129 ასოდან და ციფრიდან, საჭიროა ყოველ სახლში თვითმბეჭდაობისათვის, 13. ნიკელის ჯიბის საწერელს, ძლიერ ადვილს ჯიბით სატარებლად, 14. ჯიბის სატუალეტო ნესესერს ოთხი საინტერესო და საჭირო ნივთით, 15. **უკანასკნელი ახალი ამბავი:** კოლვერი, სამუდამო ჯიბის ასანთით, 16. საინტერესო ჯადოსნურ წიგნს, რომელიც შეიცავს, 100-მდე ახალ-ახალს საინტერესო ფოკუსს: **მთელი გარნიტურის ფასი 4 მან. 95 კაპ., 2 გარნიტურისა კი—9 მან. 30 კაპ.** ასეთივე გარნიტური საუკეთესო ხარისხის ნივთებით, უფრო ღირსებისას 5 მან. და 70 კაპ., 2 გარნიტური კი—10 მ. 80 კ., თითო გარნიტურა დახურულ საათით ღირს 1 მ. უფრო ძვირი.

**ვურჩევთ საუკეთესო ხარისხოვანის გამოწერას, რადგან ფასში ძლიერ მცირე განსხვავებაა, ღირსებისა კი ფრიად დიდია.** ვგზავნით ფასდადებით და უბეოდ. გასაგზავნი ხარჯი 45 კაპ., (ციმბირში 80 კაპ.).

**ადრესი:** „Т—во „Патентъ“, Варшава, Св. Креста, отд. 127.
Метцль. 64512. 1588



## ცინკოგრაფია

წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობისა

ამზადებს კლიშეებს ყოველგვარს

**საქმეს ასრულებს დროზე სუფთად და ხელმისაწვდომ ფასად.**

ტფილისი, ბანკის დიდი ქუჩა, № 12. ✱ Тифлисъ Бол. Банк. ул. № 12.



## ანასტას. ერისთავ-ხოშტარიასი:

1) **„მოლიპულ გზაზე“**, რომანი . . . 1 მ. 50 კ.
2) **„ბედის ტრიალი“**, რომანი . . . (60 კ.
**„ლაზარეს გადაარჩა“**, მოთხრობა . (
3) **„ქამისია“**, სურათები სოფლის ცხოვრებიდან 15 კ.

წიგნების გამოწერა შეიძლება ამ მისამართით:

г. Гори. Анастасіи Георгіевнѣ Хоштарія.

გასაგზავნ ხარჯის გადაუხდელად. ვინც სამსავე წიგნს ერთად გამოიწერს, ორ მანეთად გაეგზავნება და ვინც გამოიწერს ათ წიგნზე არა ნაკლებს, დაეთმობა „მოლიპულ გზაზე“ 30 პროცენტი, დანარჩენებზე 20 პროცენ.

ამ მისამართვითვე შეიძლება გამოწერა

## დუტუ მეგრელის ნაწერებისა:

1) ლექსები, 70 კ., 2) მოთხრობები, 70 კ. ორივე წიგნის გამომწერს გაეგზავნება 1 მ. 20 კაპ.-დ, ათი წიგნის გამომწერს დაეთმობა 30%. 1012



ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი **პირველი**

## საბუღალტრო კურსები ნ. პ. აბრამიანისა

(დაარსებულია 1895 წ.)

„სავაჭრო ბუღალტერიის სახელმძღვანელოს“ და სხვა სპეციალ. სახელმძღვანელოების ავტორისა.

ორივე სქესისათვის რადგანაც მეცადინეობა ყოველ დღე იქნება **კურსებზე, სწავლა 4 თვე გაგრძელდება.**

მეცადინეობა დაიწყება 15 იანვრიდან 1914 წ. კურსებზე სავალდებულოდ სწავლობენ: მრეწველობის ყველა დარგის ბუღალტერიას, ნავთის მრეწველობასთან და ნავთის ქარხნებთან დაკავშირებით, სხვა და სხვა მეთოდით, მაგრამ სპეციალურად იტალიური ორმაგი სისტემით; კომერციული ანგარიში; კომერციული კორესპონდენციას; ვექსილისა და ვაჭრობის უფლებას—პოლიტიკური ეკონომიას; ანგარიშს ჩოტებზე და კალიგრაფიას. არა სავალდებულოდ: უცხო ენებს, სტენოგრაფიას და საბეჭდავ მანქანით ბეჭდვას. მასწავლებელნი—თავიანთ საგნების სპეციალისტები არიან, უმაღლესი განათლებით პრაქტიკულად და თეორიულად მომზადებულნი.

**ატესტატები** სამინისტროს ნებართვით სუსტად მომზადებულთათვის კურსებთან დაარსებულია დამატებითი მოსამზადებელი კლასები: რუსული ენისათვის და ანგარიშისათვის.

კურსების პროგრამა და წესი მიეცემათ და გაეგზავნებათ მსურველთ ყოველ დროს. თხოვნები მიიღება ყოველ დღე დილის 9—11 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

კურსები აწვდის სავაჭრო დაწესებულებებს თეორიულად და პრაქტიკულად მომზადებულ ბუღალტრებს, თანაშემწეებს, კორესპონდენტებს და კანტორის სხვა და სხვა საქმის მცოდნე მოსამსახურეებს კურსების თავმდებობით. კურსებზე უსწავლია 2,200 კაცზე მეტს.

პირადად ან წერილობით მიჰმართეთ კურსების დამაარსებელს ტფილისში: ნიკოლოზის ქუჩა, 22, ს. ს. ტელეფონი 744. 1634



## „ჯეჯილი“

**საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი**

**ოცდა-მეხუთე წელიწადი.**

**მიიღება ხელის მოწერა 1914 წლისათვის.**

გამოვა თვეში ერთხელ, ჟურნალში ორი განყოფილებაა

**პატარებისათვის და მოზრდილთათვის.**

ჟურნალი „ჯეჯილი“ ტფილისში ღირს 4 მ., ქალაქ გარედ (გაგზავნით) **5** ნახევარი წლით 3 მ., ცალკე ნომერი 40 კ. ხელის მოწერა მიიღება ტფილისში **„ჯეჯილის“** რედაქციაში (არტილერიის ქუჩა, **№ 5**), **ქუთაისში,** ისიდორე კვიცარიძესთან, **ჭიათურაში**—მასწ. ნიკ. წუწუნავასთან **და სამტრედიაში**—რაჟდენ ნანეიშვილთან.

**რედაქციაში იყიდება ცალკე წლების ჯეჯილები.**

**1914 წ. ხელის მომწერლებს საჩუქრად დაურიგდებათ დასურათებული წიგნი.**

## „კუნწულა“.

ფოსტის ადრესი: Въ тифлисъ, въ Ред. груз. дѣтскаго журн. „Джеджили“.
1003 რედაქტ.-გამომცემელი **ან. თუმანიშვილი-წერეთლისა.**



## ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზ. წიგნის მაღაზიაში იყიდება

**არაყიშვილის ნოტები:**

1) **ქართ. ეროვნული სიმღერები** ფორტეპიანოს აკომპანიმენტით: ახ, მთვარევ, ბუნდოვანს გულსა, ჩემო თავო, შენდა შეყრამდის, ორთავ თვალის, ოროველა, ნანა, ურმული, მზე (მეგრული), არანანუ, ვაი ღორონთი, საარშიყო, მუ ფქიმინა, მზე (გურული), წიგნი, ქალო ლამაზო 1 მ.,
2) **ცეკვა ფორტ.** (დავლური) 50 კ.,
3) **მგოსნ. სიმღ. ქალთა ხორ.** 60 კ.
4) **ეროვნული სიმღერები** (კახური და ქართლური): კალოური, გუთნური, ურმული, ნანა, სათამაშო, მუშური, შაშვო ლამაზო ქიზიყური, ბერი კაცი ვარ, მაყრული, კახური გრძელი მრავალ-ჟამიერ, ზამთარიო, სუფრული, დიდება, იავ-ნანა, ზარით ტირილი, მკაში, დიამბეგო, ქალს გიქებენ, შავლეგო, გლესამ და გლესამ, მგზავრული, ცანგალა გოგონა, ჩემო თავო, ჩაკრული . . 65 კ.
5) **ქართ. ერთხმოვ. ეროვნ. სიმღერები:** წერა-კით. გამოც. 20 კ.
6) РОМАНСы: Не пой красавица, Я жду тебя, мнѣ снился сонъ, еще такъ много струнъ, თითო . . . 30 к.
Изъ гафиза № 1, . . . 40 к.
„ „ № 4, . . . 45 к.
7) Народн. пѣсня Западной Груз. 2 м.

ადრესი: Тифлисъ. Книжный магазинъ О-ва распр. грам. ср. груз. нас.



## მუდამ დღე მოგვდის

**თევზის მრეწველნი**

## მმ. ძმეველოვები.

პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 8.
**ტელეფონი № 712.**

**ახალ-ახალი**

მტკვრის თართი, ზუთხი, ლოქო, და სუდაკი.

**აგრეთვე იყიდება მაილოვის**

## ხიზილალა.

**კოლოფით შიტკა და ხმელი სოკო. აგრეთვე ყოველ დროს იყიდება მაღაზიაში მარტის დოში, იანი, შიპა, ზურგიელები და სხვა ყოველნაირი თევზეულობა და**

## კონსერვები.



**გამოსულია და იყიდება**

## ი. გედევანიშვილის პიესა „მამცემი“

დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.


ტფილისი, სტამბა „შრომა“ მუხრანის ქუჩა.